ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 14 სექტემბერი 2004 №213 (2234) ფასი 50 თეთრი


## მეტი ემოცია!

დღეს ჩემპიონთა ლიგა იწყება. თუმც, ალბათ, სჯობს, ამ წინადადებაში მეტი ემოცია ჩავდოთ და ასე ვთქვათ: დღეს ჩემპიონთა ლიგა იწყება!!! აქ ხომ მთავარი ის ემოციაა, მოლოდინს რომ ახლავს-ხოლმე, თორემ ლიგის დაწყების თარიღი მთელმა საფეხბურთო ევროპამ რახანია, იცის.

ლიგა ყოველწლიურად თავიდან იწყება და ეს ყოველ წელს დიდი ამბავია. ლიგის დაწყების მოლოდინი წლიდან წლამდე არ ნელდება და ამდენად ემოციაც არ ხუნდება.

დიდი სალიგო ფეხბურთის დაწყების მოლოდინს ვერაფერს აკლებს ის გარემოება, რომ ჯერაც ბოლომდე არ განელებულა ევროპის ჩემპიონატისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყებით მიღებული შთაბეჭდილებები.

ეგებ ამ სეზონში ლიგის მოლოდინი მეტიც იყოს, რაკი წინა ლიგის დასასრული, მერე კი ევროპის ჩემპიონატი გამოდგა მეტად უცნაური თავისი შედეგებით. მოულოდნელობები კი ყოველთვის აძლიერებს მოლოდინს.

**გისურვებთ შთაბეჭდილებებს!**

UEFA CHAMPIONS LEAGUE

იტალიის ჩემპიონი „მილანი“ დღეს დონეცკში „შახტარს“ უნდა ეთამაშოს. დონეცკშია საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძეც. მეგობრები და თანაგუნდელები — კალაძე და ანდრეი შევჩენკო უკრაინაში შავ-წითელი მაისურით პირველად ჩავიდნენ.

აჟიოტაჟი, ღელვა, მოლოდინი... ერთი სიტყვით, ქართველი კალაძე დღეს თავის მორიგ ჩემპიონთა ლიგას იწყებს

## დონეცკი მილანს სერიოზულად დახვდა



თბილისში ძალიან გაგვიჭირდება! უთხრა შევჩენკომ კალაძეს

— აეროპორტში უამრავი გულშემატკივარი დაგვხვდა — გვითხრა კალაძემ გუშინ, დონეცკში რომ დავუკავშირდით — ძალიან თბილად შეგვხვდნენ. შევჩენკოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მეც არანაკლები სიყვარულით მიმიღეს. ბევრი ქომაგი ახლაც კი სასტუმროსთანაა.

— მოახლოებულ თამაშზე რას იტყვი...

— ძალიან სერიოზული მატჩი გველის. „შახტარი“ თურმე განსაკუთრებულად ემზადება, უკვე ვატყობ, სავსე ტრიბუნების არანორმალური მხარდაჭერა ექნებათ. მათი მთავარი კოზირი მწვავე კონტრშეტევებია. ამ ყველაფრის მიუხედავად, აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

— შენ ითამაშებ?

— არ ვიცი, იმედი მაქვს. ანჩელოტის შემადგენლობა ჯერ არ უთქვამს, მე ჩემი მხრივ სრულ მზადყოფნაში ვარ.

— ლიგა ლიგად, მაგრამ შენ საქართველოს ნაკრების კაპიტანი ხარ. განვლილ ორ შესარჩევ მატჩზე რას იტყვი?

— ორ მატჩში ოთხი ქულა ძალიან კარგია. დიდი ხანია, ასეთი კმაყოფილი თბილისიდან არ წამოვსულვარ. მილანში რომ დავბრუნდი, სხვა კალაძე ვიყავი, ამაყი და ბედნიერი. თანაგუნდელებიც უკვე სხვანაირად მიყურებენ.

— შენ, შევჩენკო და ტომასონი სანაკრებო ამბებზეც ილაპარაკებდით...

— თავისთავად. პირდაპირ თქვეს, თბილისში ძალიან გაგვიჭირდებაო: ახალი მწვრთნელი გყავთ, ამბიცია არასდროს გაკლდათ, მაგრამ თურქეთიდან თუ ქულას წაიღებდით, ნამდვილად არ გვეგონაო.

— ორ ტურში ოთხი ქულა მართლაც კარგია, მაგრამ ნაკრების თამაშის ხარისხი?

— მართალია, კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ ბერძნებს ხომ შეხედეთ, კარში ვერ ურტყამდნენ ნორმალურად და ევროპის ჩემპიონები გახდნენ. თანამედროვე ფეხბურთში მთავარი შედეგია. დარწმუნებული ვარ, თამაშის ხარისხს აუცილებლად გავაუმჯობესებთ, მაგრამ მე იმაზეც ყაბულს ვიქნები, ოღონდ შედეგი გვქონდეს და ჯანდაბას, ცუდად ვითამაშოთ.

**გიორგი ვაშაკიძე**



## მაკედონიაც და... უკვე დონეა

ამ შაბათს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა შინ დაამარცხა ფინეთი და სამწლიანი უმოქმედობის შემდეგ გამარჯვებით დაიწყო საკვალიფიკაციო ციკლი. ფინეთს კიდევ ვნახავთ, ოღონდ გაისად, ახლა კი სხვათა ძლევის ჯერია. დღეს გამთენიისას დრაჟენ ბრაიკოვიჩის სამწსო ვენაში გაფრინდა, საიდანაც მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეს ჩავა და მაკედონიელთა მათსავე მოედანზე წაქცევას შეეცდება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ნაკრებს ესა აქვს გეგმაში მიუხედავად იმისა, რომ მაკედონია მძლავრი საკალათბურთო იუგოსლავიის ნასხლეტია და დასუსტებულიც სახიფათოა.

ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს მაკედონიის კალათბურთის ფედერაციასა და ნაკრების მოთამაშეებს შორის განხეთქილება: რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი უარს აცხადებს ეროვნულ გუნდში თამაშზე. თუმცა სათქმელია, რომ ამას მაკედონიელებისთვის ხელი არ შეუშლია, ჩვენი ჯგუფის მეოთხე მონაწილე ლუქსემბურგი მისსავე მოედანზე 25 ქულით გაენადგურებინა.

# აზერბაიჯანი კარგად ვავარჯიშეთ

## გოლის სამჭედლო პასია

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სათამაშოდ ფინეთში გამგზავრებამდე ერთი ამხანაგური მატჩიც ჩაატარა. მეტოქე, ისევე როგორც წინა შაბათის ბოლნისურ შეხვედრაში, აზერბაიჯანის ამავე ასაკის ნაკრები იყო.

გუშინდელი შეხვედრა, რომელსაც „ოლიმპმა" უმასპინძლა, კვლავ ქართველების გამარჯვებით დასრულდა — 4:0.

თუმცა ასეთი ანგარიშის მიუხედავად, საქართველოს ნაკრების თამაშს კმაყოფილების საბაბი არ მოუცია. აქ უპირველესად ის უნდა აღინიშნოს, რომ შესარჩევ ეტაპზე ჩვენი გუნდის მეტოქეები აზერბაიჯანისაზე ბევრად ძლიერი — ფინეთის, მაკედონიის და საბერძნეთის ნაკრებები იქნებიან და ჩვენს ბიჭებს უმძიმესი მატჩები მოელით.

ბოლნისური მატჩისგან განსხვავებით, რომელშიც ჩვენების უპირატესობა თვალსაჩინო იყო, ამჯერად თამაში სტუმრებმა უფრო აქტიურად დაიწყეს და 27-ე წუთამდე რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, რომელთაც მეკარე რევაზ თევდორაძე კარგად გაუმკლავდა. საპირისპირო კართან კი ამ პერიოდში საინტერესო არაფერი მომხდარა.

ნახსენებ 27-ე წუთზე კი ანგარიში გაიხსნა — დავით მჭედლიშვილმა ჯარიმით ბურთი შორეულ ძელთან ჩაჰკიდა, სადაც გიორგი მამნიაშვილმა თავურით ცხრიანში გაიტანა.

გაშვებულმა გოლმა აზერბაიჯანელებს ხასიათი წაუხდინა და მათ იერიშებს სიმწვავე მოაკლდა. პირველ ტაიმში სტუმრებმა ერთხელაც შეაწუხეს თევდორაძე და ეგ იყო. საქართველოს ნაკრები კი პირიქით, გააქტიურდა და ტაიმის მიწურულამდე წინა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა რატი წინამძღვრიშვილმა ორი კარგი მომენტი შექმნა — ჯერ თავად გაიჭრა წინ, დაარტყა და მეკარემ აული, მერე კი ბექა გოცირიძე გაიყვანა კარგ პოზიციაზე, რომლის დარტყმულსაც სიზუსტე დააკლდა.

მეორე ტაიმი 5 წუთის დაწყებული იყო (ტაიმები 40-წუთიანი გახლდათ), როცა აზერბაიჯანელმა მცველმა საჯარიმოში ხელით ითამაშა და გიორგი გუგავამ პენალტით სხვაობა ორამდე გაზარდა.

მესამე გოლი 57-ე წუთზე რევაზ ბარაბაძემ გაიტანა, მაგრამ აქ გოლის თანაავტორიც აუცილებლად უნდა ვახსენოთ — დავით მჭედლიშვილი ფლანგზე გაიჭრა, საჯარიმოს სიახლოვეს ბურთი დაკარგა, ბრძოლით ისევ დაიბრუნა, საჯარიმოში შეიჭრა და კარის წინ ბარაბაძეს დაუგორა. საერთოდ კი, მჭედლიშვილი, ვინაც ასაკის მიუხედავად „ამერის" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია, ამ შეხვედრაში უდავოდ საუკეთესო იყო. ორი საგოლე პასის გარდა მჭედლიშვილმა ერთხელ გოცირიძე შეატოვა მეკარეს პირისპირ, ბოლო წუთებზე კი ბურთი ძელს გაარტყა.

მეოთხე გოლი გოგოხიამ გაიტანა — მჭედლიშვილის ჩაწოდებული ბურთი მცველებმა გამოიტანეს, გოგოხიამ კი დაახლოებით 30 მეტრიდან დაარტყა და რიკოშეტით შეაგდო.

ამის მერე ქართველები ჯერ ათნი, მერე კი ცხრანი დარჩნენ — მსაჯმა იაშვილი და მამნიაშვილი გააძევა, თუმცა აზერბაიჯანელებმა ამით ვერ იხეირეს.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

*თევდორაძე (ჯალაღონია 63), ფირანიშვილი (დარასელია 41), მამნიაშვილი, ელბაქიძე (გუგავა 41), ნასრაშვილი (ბჟალავა 51), ნიკოლაიშვილი (კობიაშვილი 41), განუგრავა (იაშვილი 59), მჭედლიშვილი, წინამძღვრიშვილი (ბარაბაძე 55), შერმადინი (გოგოხია 25), კვარაცხელია (გოცირიძე 33)*



ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს ნაკრებმა დავით მჭედლიშვილის საგოლე პასებით გაიმარჯვა

## უეფას თასი 2004-2005

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

კრაკოვი. 16 სექტემბერი. 19 საათი. ჟორდანს პარკი

### ვისლა — დინამო

# დღეს დინამოს კრაკოვი ელოდება

**საშემოდგომოდ** ევროტურნირებს ერთადერთი ქართული გუნდი შემორჩა — თბილისის „დინამომ" თუ უეფას თასის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდიც გადალახა, ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება. ამისთვის კი დინამოელებმა პოლონეთის ჩემპიონი კრაკოვის „ვისლა" უნდა დაამარცხონ.

დღეს „დინამო" ჩარტერული რეისით გაემგზავრება პოლონეთში და 16 სექტემბერს „ვისლას" შეეჭიდება.

„დინამოს" მთავარსარდალი გია გეგუჩაძე კი „ვისლასთან" საომრად ამ ფეხბურთელებით მიდის:

*მეკარეები: ირაკლი ზოიძე, ზურაბ მამალაძე, ირაკლი თოთლაძე;*

*მცველები: გიორგი შაშიაშვილი, ლაშა სალუქვაძე, დავით ჭიჭველიშვილი, დავით გიგაური;*

*ნახევარმცველები: შოთა კაშია, დავით კვირკველია, კახა ალადაშვილი, გიორგი ნემსაძე, შოთა გრიგალაშვილი, ჯაბა კანკავა, ლევან ხმალაძე, ლადო ბურდული;*

*თავდამსხმელები: ლევან მელქაძე, მიხეილ კაკალაძე, ბორის გონჩაროვი, ჯაბა დვალი.*

**დავით თავართქილაძე**

# ის, რაც მანამდე არ ყოფილა

## შირესმა კეთება გვასწავლა

4 სექტემბერს ტრაპიზონის „ავნი აკერზე" ქართველმა რეინჯერსელებმა ჭახანი გაადინეს — შოთა არველაძე ზურაბ ხიზანიშვილს ისე შეეჯახა, რომ ხიზანიშვილმა მატჩი ვერ ჩაამთავრა — ექიმებმა მას ტვინის შერყევის მსუბუქი ფორმა დაუდგინეს და ზურამ 8 სექტემბერს ალბანეთთან ველარ ითამაშა. ხიზანიშვილს არც სქოთური პრემიერლიგის ბოლო მატჩი უთამაშია „ჰართსთან" და როცა მას გლაზგოში დავურეკეთ, ჯერ ჯანმრთელობაზე დავეკითხეთ...



ბადრი კეთილაძის ფოტო

ალენ ქირესმა ზურაბ ხიზანიშვილიც და სხვა ნაკრებელებიც გვარიანად დამუხტა

— უკვე ორი დღეა, რაც სრული დატვირთვით ვარჯიში განვაახლე, თუმც ხისტ ორთაბრძოლებს ჯერ ვერიდები. თავის ლოკალური ტკივილები კარგა ხანს მქონდა, მაგრამ ახლა უკეთ ვარ.

— 16 სექტემბერს უეფას თასის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი გელით პორტუგალიაში იქაურ „მარიტიმუსთან" — „რეინჯერსს" გაჰყვები იქ?

— კი, ეს უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ ვითამაშებ თუ არა, ეგ არ ვიცი.

— რეინჯერსმა" სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო...

— პირველი დასახული მიზანი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვედრა იყო და ეს ვერ შევასრულეთ. შოტლანდიის ჩემპიონატში კი „სელტიკს" შვიდი ქულით ჩამოვრჩებით და ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი სხვაობაა. მოკლედ, „რეინჯერსი" კარგ დღეში არ არის.

— ნაკრებზე გადავერთოთ. ოთხი ქულა ორ თამაშში და ჯგუფის ლიდერობა — რა იყო მთავარი ფაქტორი საქართველოს ნაკრების ამ ორმატჩიან წარმატებაში?

— იგრძნობოდა ის, რაც მანამდე არ ყოფილა — თურქეთთან მატჩის წინ გუნდი ისე იყო მობილიზებული, რომ ვგრძნობდი, არ წავაგებდით. ვგრძნობდი იმასაც, რომ არ მოხდებოდა ის, რაც ყველაზე უფრო აღიზიანებს ხალხს — ნაკრებში ფეხბურთელები თავს არ დებენო. თურქეთთან მოგებაც შეგვეძლო — პირველ ტაიმში თავით რომ გამეტანა, ვინ იცის, რა მოხდებოდა. ალბანეთთან არ მითამაშია, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ აუცილებლად მოვიგებდით.

— რამ მოიტანა ნაკრებში ასეთი რწმენა და მობილიზება?

— ყველაფერი ეს გუნდში ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა მოიტანეს, ჩვენმა ურთიერთსაუბრებმა და ურთიერთგამხნევებამ. კიდევ, მწვრთნელის დავალებებმა — ვიცოდით, რა უნდა გვეკეთებინა, როცა ვუტევდით და როცა მეტოქე გვიტევდა, ადრე კი ტაქტიკურ სქემაში ნაკრები მოიკოჭლებდა...

**დავით თავართქილაძე**

### ინგლისი

პრემიერლიგა. V ტური

ჩარლტონი 0:0 საუთჰემპტონი

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XXIII ტური

ტურკუ 0:0 ჰაკა

ალიანსი 3:2 ტპ-47

### ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. V ტური

ზლინი 1:0 ლიბერეცი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. IV ტური

ერფურტი 0:0 მიუნხენი

### იტალია

სერია B. I ტური

მოდენა 1:1 ჯენოა

### ნორვეგია

ტიპელიგა. XX ტური

ბრანი 1:2 სტაბეკი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. VII ტური

მონპელიე 0:2 ამიენი

### პორტუგალია

სუპერლიგა. II ტური

რიუ ავე 3:3 ბელენენსეში

### შვედეთი

ალსვენსკა. XIX ტური

კალმარი 1:1 იორგრიტე

ჰელსინგბორგი 2:0 ტრელებორგი

გიოტებორგი 1:0 აიკ

სუპერეტა. XXIII ტური

ვასტერასი 1:1 ბრაგე

### ირლანდია

ასოციაციის თასი. I ეტაპი

ეთლონი 0:3 ლონგფორდი

დროჰედა 2:1დ.დ.(1:1) დუბლინი

# გოცირიძეს პოლიტიკურად არ სცივა. ისე სცივა კამაზი ჯერ იტვირთება

წინა ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი რევაზ გოცირიძე ოთხი თვეა, რუსეთის პირველლიგელ „კამაზშია“. რეზომ ადაპტაციის პერიოდი უკვე გაიარა და ნაბერეჟნიე ჩელნის კლუბის ძირითადსაც გაუშიანურდა. თუმცა ერთი ხანობა ცხრილის სათავეში მყოფმა კამაზელებმა პოზიციები დათმეს და ახლა მეოთხე ადგილზე არიან, რაც პრემიერლიგის შანსებს ფაქტობრივად უსპობთ.

გოცირიძის ცხოვრებაში კი სასიხარულო და მნიშვნელოვანი ამბავია, 6 სექტემბერს ვაჟი, დავითი შეეძინა, რაც გუშინლა მივულოცეთ, როცა ინტერვიუსთვის შევეხმიანეთ

**— „კამაზს“ ლიდერობის შესანარჩუნებელი ძალა არ აღმოაჩნდა და ახლა პრემიერლიგაში გადასვლის შანსი ძალიან შეუმცირდა...**

— ახლა მეოთხე ადგილზე ვართ, თუმცა ამის გამო აქ თავს არავინ იკლავს. „კამაზს“ პრემიერლიგის საგზურის მოპოვება წლეულსვე არ დაუსახავს მიზნად, მთავარი ამოცანა გუნდის შეთამაშება და მომავალი სეზონისთვის მომზადებაა. მომავალი წლიდან კი ეს აუცილებელი პირობა იქნება. ვიცი, რომ სერიოზულ გაძლიერებას აპირებენ, სხვაგვარად პრემიერლიგაში გადასვლა გაგვიჭირდებაო.

**— ადამიას დამატებაზე რამე ხომ არ თქმულა?**

— აქ სეზონი ნოემბერში მთავრდება და სატრანსფერო საქმიანობა მაშინ დაიწყება. ჯერ არაფერს ამბობენ.

**— შენ როგორ აუღე ალღო რუსეთის ჯაჯგურა პირველ ლიგას?**

— უკვე მივეჩვიე. იური გაზაევიც უფრო ხშირად მაყენებს შემადგენლობაში და საწყის ტურებთან შედარებით გაცილებით მეტსაც ვთამაშობ.

**— რუსული ფეხბურთის ტემპს შეეგუე?**

— აღარც ორთაბრძოლებში მიჭირს და ფიზიკურადაც ვუძლებ. რუსებს ვარჯიშებიც სულ სხვანაირი აქვთ. გუშინდელ ვარჯიშზე კოჭი გადავიბრუნე. მეგონა, სერიოზული ტრავმა მქონდა, დღეს კი უკვე მავარჯიშეს კიდეც და ხვალ „ლიპეცკთან“ ვითამაშებ.

**— ნაბერეჟნიე ჩელნისაც შეეჩვიე?**

— თბილისს ვერ შევადარებ, მაგრამ თავისი პლუსები ამ ქალაქსაც აქვს. აქ ინტერნეტით ვეცნობი ქართული ფეხბურთის ამბებს და ძალიან მიხარია, რომ ჩვენი ნაკრები ჯგუფის ლიდერი გახდა. თანაგუნდელებმაც მომილოცეს, ასეთ კარგ სტარტს ქართველებისგან არ ველოდითო, მითხრეს.

**— რუსეთ-საქართველოს დაძაბულმა ურთიერთობამ მდგომარეობა ხომ არ დაგიმძიმა?**

— არა, პირიქით, ცდილობენ, თბილად მომექცნენ. ამ მხრივ აქ პრობლემები ნაღდად არაა.

**— თბილისში როდის ჩამოხვალ?**

— 6 ნოემბერს ბოლო ტურის მატჩი გვაქვს. მერე შვებულება გვეწყება. თანაც აქეთ უკვე აცივდა და ერთი სული მაქვს, თბილისისკენ როდის წამოვალ.

**დავით ერაძე**



რევაზ გოცირიძეს (№24) პოლიტიკური სუსხი არ აშინებს

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს 16 ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა პირველი წრე

6 ტური

ტორპედო 2:0 ბათუმი
დინამო 4:0 კოლხეთი
ლოკომოტივი 0:0 ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი 2:0 დილა
თბილისი 3:1 სიონი

# სამი ბრუნი დებიუტით

მეექვსე ტურს ალმაცერად ნუ შეხედავთ. მართალია, ცხრილის მწვერვალი კვლავაც „დინამოს“ უპყრია, მაგრამ თერთმეტგზის ჩემპიონი მასზე ბევრად ღარიბი სამგზის ჩემპიონის სუნთქვას მაინც გრძნობს და ოდენ ბურთების უკეთესი სხვაობით ჯობნის.

მეექვსე ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა ვლადიმირ ზემლიანოის გაწვრთნილმა „ზესტაფონმა“ და ცხრილის ბოლოდან ორი საფეხურით აინაცვლა.

მეექვსე ტურმა შეიწირა ერთი მწვრთნელიც — გორის „დილას“ ზურაბ ხორგუაშვილი აღარ წვრთნის და ვინ შეცვლის მას, ჯერ გაურკვეველია.

მეგოლეებს კი ლიდერი არ ჰყავთ — ოთხი გოლი ერთბაშად ხუთ მეგოლეს გაუტანია. მეექვსე ტურის დანარჩენ ამბავთაგან კი დაბრუნების თემა გამოვარჩიეთ...

სხვანაირად ვერც იქნებოდა და, აქაურობის კვალობაზე სახელიანი ფეხბურთელები ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატსაც ჰყავს. ამ ტურში სამი ასეთი ფეხბურთელიც დაუბრუნდა ფეხბურთს და ქართულ უმაღლეს ლიგას.

ზაზა ზირაქიშვილი სეზონის დაწყების წინ ბაქოს „ხაზარმა“ აიყვანა, პირობები დაუკმაყოფილა და ინტერტოტოზეც ათამაშა. მაგრამ შემდეგ გუნდის გაწვრთნა უკრაინელ სპეციალისტ ვიქტორ კონკოვს დაავალეს და მანაც „ხაზარში“ თანამემამულე ფეხბურთელები მიიყვანა. აზერბაიჯანში კი ლეგიონერთა რაოდენობა ლიმიტირებულია და ხაზარელებიც ზირაქიშვილს დაემშვიდობნენ. ზაზა „ზესტაფონმა“ მიიწვია და მიმდინარე ჩემპიონატში ამ გუნდის პირველ გამარჯვებას სწორედ ზირაქიშვილის გოლმა დაუდო სათავე.

ალეკო გოგობერიშვილი „დინამოდან“ წინა სეზონის ბოლოს გაუშვეს. მიზეზი ასეთი იყო — გოგობერიშვილი შეტევაში გუნდის თამაშს ამუხრუჭებს. ალეკო მას შემდეგ უგუნდოდ იმიტომ იყო, რომ ქუსლის ტრავმა აწუხებდა. ნამკურნალევი გოგობერიშვილი ახალსპონსორიანმა „ლოკომოტივმა“ დაიმატა. ამ ცენტრალურ ნახევარმცველს „ლოკომოტივში“ ადრეც უთამაშია — 1998-99 წლების ჩემპიონატის მეორე წრეში რკინიგზელთა გუნდში 13-ჯერ ითამაშა და 9 გოლი გაიტანა. ამ ტურში კი ალეკომ ოდენ მატჩის ბოლო ოთხი წუთი დაჰყო მინდორზე, მაგრამ „ლოკომოტივს“ რომ მკვეთრად გააძლიერებს, ნაღდი უნდა იყოს.

მთელი 90 წუთი ითამაშა სანდრო იაშვილმა. მისი თბილისური დებიუტი უგოლო კი გამოდგა, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ ეროვნული ჩემპიონატის ალბათ ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა თავდამსხმელი „დინამოში“ კი აღარ ითამაშებს, არამედ „თბილისში“.

დებიუტი დამთავრდა — ამ სამეულმა თავისი აწი უნდა დაამტკიცოს.



სანდრო იაშვილს გოლის გემო მოენატრა

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 4-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| მელქაძე | დინამო |
| კაკალაძე | დინამო |
| მეგრელაძე | ტორპედო |
| გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| 3-ფიფია | თბილისი |
| ოდიკაძე | თბილისი |
| მიქაძე | თბილისი |
| ბოზოხიძე | ლოკომოტივი |
| გონჩაროვი | დინამო |
| რუსია | სიონი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 6 | 5 | 1 | 0 | 20:4 | 16 |
| ტორპედო | 6 | 5 | 1 | 0 | 11:1 | 16 |
| თბილისი | 6 | 4 | 1 | 1 | 15:8 | 13 |
| ლოკომოტივი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:3 | 11 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 12:10 | 10 |
| ბათუმი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| სიონი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:20 | 6 |
| ზესტაფონი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:15 | 3 |
| კოლხეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 3:13 | 3 |
| დილა | 6 | 0 | 0 | 6 | 4:14 | 0 |

**მომდევნო ტური**

18 სექტემბერი, შაბათი
დილა – კოლხეთი
ბათუმი – ზესტაფონი
სიონი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – თბილისი
19 სექტემბერი, კვირა
დინამო – ლოკომოტივი

**სიმბოლური ნაკრები**

გიორგი მიქაძე — თბილისი
გიორგი მეგრელაძე — ტორპედო
გიორგი ფეიქრიშვილი — სიონი
დავით კვირკველია — დინამო
გიორგი ადამია — ვიტ ჯორჯია
შოთა გრიგალაშვილი — დინამო
გაგა ჩხეტიანი — ტორპედო
როინ ონიანი — ლოკომოტივი
გივი კვარაცხელია — თბილისი
დავით ოდიკაძე — თბილისი
აკაკი დევაძე — თბილისი

გუნდი: ტორპედო
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასათიანს ფეხითაც გააქვს

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ლივორნო 2:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 6 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ვოლფსბურგი 0:3 | 90 | | 3 | 0 | 16 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰანოვერი 2:2 | 90 | | 4 | 0 | 8 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰანოვერი 2:2 | 90 | საგოლე პასი | 4 | 0 | 8 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ალენი 0:0 | 0 | | 3 | 0 | 5 |
| დავით სირაძე | ტრირი | შ | ფიურტი 0:0 | 29 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხ. | 1 | 0 | 14 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | ჰართსი 0:0 | 35 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 2 | 4 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | ჰართსი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 2 | 0 | 4 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | ზალცბურგი 0:1 | 90 | | 8 | 2 | 8 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ალანია 3:0 | 90 | 1 გოლი | 14 | 1 | 3 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | ალანია 3:0 | 0 | სათადარიგო | 12 | 0 | 3 |
| რატი ალექსიძე | როსტოვი | შ | ყუბანი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 5 | 0 | 10 |
| მამუკა ლომიძე | როსტოვი | შ | ყუბანი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | ლოკომოტივი 0:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 1 | 12 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | ლოკომოტივი 0:3 | 90 | გააფრთხილეს | 14 | 1 | 12 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ალანია | ს | ლოკომოტივი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 1 | 12 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | დინამო | ს | მოსკოვი 0:1 | 0 | სათადარიგო | 7 | 0 | 15 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | ამკარი 3:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ცხადაძე | ანჟი | შ | ლისმა-მორდოვია 2:0 | 90 | | 12 | 0 | 9 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | ლისმა-მორდოვია 2:0 | 0 | | 23 | 0 | 9 |
| ედიკ საჯაია | არსენალი | შ | კამაზი 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 22 | 0 | 11 |
| გიზო ჯელაძე | სოკოლი | შ | ურალანი 2:1 | 90 | გააფრთხილეს | 22 | 1 | 2 |
| პაატა ჯინჭარაძე | ნეფტეხიმიკი | ს | ორიოლი 1:1 | 90 | | 22 | 3 | 18 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | ს | არსენალი 0:0 | 40 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 0 | 4 |
| ზაზა ჯანაშია | ბალტიკა | ს | სპარტაკი 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 6 | 1 | 20 |
| თემურ გადელია | ბალტიკა | ს | სპარტაკი 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 9 | 1 | 20 |
| რომან ახალკაცი | ბალტიკა | ს | სპარტაკი 0:2 | 69 | შეცვალეს | 8 | 0 | 20 |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | ს | ტომი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 6 |
| ვალერი აბრამიძე | ხიმკი | ს | ტომი 0:1 | 0 | | 4 | 0 | 6 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | შ | ლოკომოტივი 0:1 | 0 | | 9 | 1 | 16 |
| **უკრაინა. თასის მერვედფინალი** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ.დონეცკი | ს | ნეფტიანიკი 1:2 | 0 | განაცხადში არ იყო | | | |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | ნეფტიანიკი 1:2 | 0 | განაცხადში არ იყო | | | |
| გიორგი გახოკიძე | მ. დონეცკი | ს | ნეფტიანიკი 1:2 | 16 | შეცვლაზე ითამაშა | | | |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | ს | კარპატი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | | | |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | ს | ჩერკასი 1:1(პენ. 5:4) | 20 | შეცვლაზე ითამაშა | | | |
| გია ჭანტურია | ტავრია | ს | ჩერკასი 1:1(პენ. 5:4) | 90 | | | | |
| გიორგი იმედაძე | ტავრია | ს | ჩერკასი 1:1(პენ. 5:4) | 0 | ტრანსფერზეა | | | |
| კახა ჩხეტიანი | ტავრია | ს | ჩერკასი 1:1(პენ. 5:4) | 0 | სათადარიგო | | | |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | ჩერკასი 1:1(პენ. 5:4) | 90 | 1 გოლი | | | |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ნივა 0:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | | | |
| ლაშა ჭელიძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ნივა 0:1 | 0 | ტრავმირებულია | | | |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | პლოცკი | შ | პოლონია 4:1 | 27 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 11 |
| **ლატვია. თასის ნახევარფინალი** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | მეტალურგსი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | | | |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | მეტალურგსი 2:1 | 90 | გააფრთხილეს | | | |
| გიორგი ყიფიანი | სკონტო | შ | მეტალურგსი 2:1 | 27 | შეცვლაზე ითამაშა | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | ს | დიტონი 2:0 | 90 | | | | |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნიკურაძე | კტპ | ს | როვანიემი 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 0 | 9 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | შ | სპარტაკი 6:0 | 55 | გააძევეს | 5 | 2 | 1 |
| კოტე დარსანია | ჩერნო მორე | ს | პირინი 0:3 | 0 | | 1 | 0 | 15 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | ს | პირინი 0:3 | 0 | | 2 | 0 | 15 |
| ლევან კაპანაძე | ბელასიცა | შ | ლევსკი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 10 |
| ლევან მიქაძე | ბელასიცა | შ | ლევსკი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 10 |
| **მოლდოვა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | შ | უნისპორტი 6:1 | 90 | | 4 | 0 | 1 |
| მურთაზ ბურნაძე | შერიფი | შ | უნისპორტი 6:1 | 90 | გააფრთხილეს | 2 | 0 | 1 |
| რომან გოგინაშვილი | შერიფი | შ | უნისპორტი 6:1 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| კახა კვეტენაძე | ორდაბასი | შ | იასი 1:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 20 | 0 | 14 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | ს | ოკჟეტპესი 3:0 | 90 | გააფრთხილეს | 15 | 0 | 7 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



**მალხაზ ასათიანმა (მარცხნივ) სანაკრებო გოლს საკლუბოც მიუმატა**

სანაკრებო ფანჯარა ერთი თვით დაიკეტა და ქართველმა ლეგიონერებმაც ისევ გააგორეს ბურთი ევროპაში. ზოგის კლუბში დაბრუნება უიღბლო გამოდგა, ზოგისაც — იღბლიანი და ამ ყველაფერზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით...

*ამ უქმეებზე სხვებზე მეტად მალხაზ ასათიანი გამოირჩა.* თურქეთ-ალბანეთთან ნაყოჩაღებმა ჩვენებურმა მოსკოვის „ლოკომოტივშიც" ივარგა და გუშინწინ რუსულ პრემიერლიგაში ვლადიკავკაზის „ალანიას" გაუტანა. ასათიანმა ვადიმ ევსეევის დაგორებულ ბურთს დაჰკრა და ხარიხის ქვემოთ შეაწყვიტა ბადეს. ეს მალხაზის პირველი საამსეზონო გოლი იყო რკინიგზულ კლუბში. მოსკოველებმა კი „ქართულ" გოლს ორიც მიუმატეს და 3:0 მიანგრიეს დაბეჩავებული „ალანია". სასიამოვნოა ისიც, რომ ასათიანს დმიტრი ლოსკოვთან და ევსეევთან ერთად ყველაზე მაღალი — 6,5 ქულა დაუწერეს ჟურნალისტებმა.

ამავე მატჩში მოედანზე კიდევ ერთი ქართველი, ალანიელი *ლევან გვაზავაც* გამოჩნდა. ტრავმამოშუშებული *მიხეილ აშვეთია* კი „ლოკომოტივს" თადარიგში ჰყავდა — ექიმებმა მას ჯერჯერობით ოდენ 10-15 წუთით თამაშის ნება დართეს, მაგრამ იური სიომინი მაინც არ ჩქარობს აშვეთიას მოედანზე შეშვებას.

*ლევან ცქიტიშვილის საგოლე პასმა „ფრაიბურგს" ქულა გადაურჩინა.* ფოლკერ ფინკეს სამწყსო 0:2 აგებდა სტუმრად „ჰანოვერთან", თუმც მეორე ტაიმში „ფრაიბურგმა" გაიღვიძა და ორი გოლის გატანა შეძლო. სტუმართაგან საუკეთესოდ ცქიტიშვილი მიიჩნიეს. მის დარად, 90 წუთი ითამაშა ალბანეთის კარში ნანატრი გოლის გამტანმა *ალექსანდრე იაშვილმაც*.

ამ უქმეებზე დებიუტი ჰქონდა *დავით სირაძეს*. ბერლინის „უნიონიდან" ტრირის „აინტრახტში" სეზონის წინ გადასული ქართველი ნახევარმცველი აქამდე ტრავმის გამო ვერ ახერხებდა თამაშს. სირაძემ ფეხი უკვე მოირჩინა და გუშინწინ პირველად მოირგო „ტრირის" მაისურა. ტრირელთა მეათე ნომერი 61-ე წუთზე ჩაერთო თამაშში, მისმა გუნდმა კი მეორე ბუნდესლიგის ლიდერ „ფიურტს" ქულა აართვა და მე-14 ადგილზე აინაცვლა.

*მორიგი ქულები დაკარგა გლაზგოს „რეინჯერსმა".* „ჩაფრებმა" სტუმრად „ჰართსი" ვერ გატეხეს და უგოლოდ დაშორდნენ. *შოთა არველაძემ* შეცვლაზე ითამაშა, თურქეთში დაშავებული *ზურაბ ხიზანიშვილი* კი ცოტა ხანს კიდევ ვერ შეეშველება თავის გუნდს. უცნაურია, მაგრამ მოსისხლე „სელტიკის" მადევარი „რეინჯერსი" ბოლოხანს მისთვის უჩვეულო მეოთხე ადგილზეა სატურნირო ცხრილში.

*ლატვიაში თასის „ქართული" ფინალი შედგება.* *კორღალიძე-მენთეშაშვილ-ყიფიანის* „სკონტოს" *ალექსანდრე რეხვიაშვილის* „ვენტსპილსთან" მოუწევს ტიტულის დაცვა. „სკონტომ" დაძაბულ ჯახში მოიპოვა ფინალის საგზური — ლიეპაიას „მეტალურგსს" ბოლო წუთზე გატანილი გოლით 2:1 მოუგო, „ვენტსპილსმა" კი სტუმრად შედარებით იოლად, 2:0 სძლია „დიტონს". ასე რომ, რეხვიაშვილს პირველად მოუწევს თავისი მშობლიური გუნდის წინააღმდეგ თამაში. შეგახსენებთ, რომ მისი კაპიტნობით „სკონტომ" სამჯერ აწია ქვეყნის თასი.

*უკრაინაში კი თასისთვის ბრძოლას ერთბაშად ხუთი ქართველი ჩამოშორდა.* *ჯამარაულ-დემეტრაძე-გახოკიძის* დონეცკის „მეტალურგს" და *მოდებაძე-ჭელიძის* ზაპოროჟიეს „მეტალურგს" დაბალლიგელებთან, „ნეფტიანიკთან" და „ნივასთან" მატჩებში დაემსხვრათ სათასო ილუზიები.

დონეცკელებმა ჩვენებურთაგან ოდენ გიორგი გახოკიძე ათამაშეს და ისიც 16 წუთით. გოჩა ჯამარაულს და გიორგი დემეტრაძეს კი მწვრთნელმა დონეცკში დარჩენა და დასვენება ურჩია.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელმა ირაკლი მოდებაძემ ხანგრძლივი პაუზის მერე პირველად მოირგო ზაპოროჟიული კლუბის მაისურა — იგი მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე, თუმც „ნივასთან" თავის გამოჩენა ვერ შეძლო.

**კახა ზალამბერიძე**

# თაობათა ცვლა: ზანგები და ფრანგები

*საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ ნახევარმცველი კლოდ მაკელელე აცხადებს, რომ ეროვნულ გუნდში თავის მომავალს ვერ ხედავს და შეკრებებზე ამაოდ ჩასვლას აღარ აპირებს. მადრიდის „რეალის“ ყოფილმა მოთამაშემ „ლურჯების“ თავკაც რაიმონ დომენეკს უთხრა კიდევაც ამის შესახებ, არადა, ახლა, როდესაც პატრიკ ვიეირა ერთი თამაშით დისკვალიფიცირებულია, წინ კი ირლანდიასთან შეხვედრაა, საფრანგეთში ეგონათ, რომ ვაკანსიას მაკელელე შეავსებდა*



რაიმონ დომენეკის ნაკრებში თამაშს კლოდ მაკელელეც უარობს, სილვენ ვილტორდი კი გამოძახებას ელის





„საფრანგეთის ნაკრებში ყველაფერი ვცადე, მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდთან ერთად არაფერი მომიგია. ვფიქრობ, ჩემნაირი ფეხბურთელის გამოძახება და მუდმივად სკამზე დასმა სწორი არ არის. ასეთ პირობებში მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ნაკრებში ჩემს მომავალს ვერ ვხედავ და აღარ ვითამაშებ. ასაკიც მოქმედებს, მსოფლიოს ჩემპიონატზე 33 წლისა ვიქნები, ასე, რომ სჯობს გამოცდილება ახალგაზრდებმა შეიძინონ, მე კი ჩემს წილს მეტისმეტად დიდხანს ველოდე. ერთი სიტყვით, აშკარა იყო, რომ გადაწყვეტილება უნდა მიმეღო და ამის შესახებ მწვრთნელი საქმის კურსში ჩამეყენებინა. აქვე დავამატებ, რომ რაიმონ დომენეკთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. იგი ძალიან კარგად მიცნობს და ჩემი პოზიციაც ძალიან კარგად ესმის. მე ისრაელთან და ფარერის კუნძულებთან გული გავიღე, ახლა კი სხვების დროა. გუნდი სხვებმა უნდა განავითარონ, მე კი დავამთავრე“ — განაცხადა მოთამაშემ გაზეთ „ეკიპისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, სადაც აგრეთვე დასძინა, რომ ამიერიდან თავის მომავალს მხოლოდ „ჩელსის“ დაუკავშირებს.

„აქ, ლონდონში ძალიან გრძელვადიანი პროექტი აქვთ და მეც კიდეთ ერთი წლით გავაგრძელე ჩემი კონტრაქტი. კლუბმა ჩემში დიდი ფული ჩადო, ასე რომ ჩემი მომავალი ამ კლუბთან არის დაკავშირებული. ნელ-ნელა „ჩელსიში“ ნამდვილი გუნდი ყალიბდება. ჩვენ დიდი და შორსმიმავალი პოტენცია გვაქვს და საუკეთესო შედეგისთვის ვიბრძოლებთ კიდეც. ცხადია, ხალხი სულ „არსენალს“ შეგვადარებს, ამიტომაც შეცდომის უფლება არ გვაქვს“.

მაკელელესგან განსხვავებით კი სილვენ ვილტორდი აცხადებს, რომ „ლურჯების“ ბანაკის მიტოვებას გულში წამითაც არ ივლებს და სიამოვნებით ელის ფრანგთა ეროვნული გუნდის მომავალ შეხვედრებს.

„საფრანგეთის ნაკრებიდან წასვლაზე ერთხელაც არ მიფიქრია, მე ფეხბურთის თამაში ძალიან მიყვარს და დიდ სიამოვნებას ვიღებ. ჩვენს ფეხბურთელებთან ყოველი შეხვედრა წარმოუდგენელ სიამაყის გრძნობას მანიჭებს. ასე, რომ სანამ მწვრთნელი გამომიძახებს, უარს არ ვიტყვი. ლურჯი მაისურას ყოველ ჩაცმას დიდი მოუთმენლობით ველი და იმედი მაქვს, რომ ეს ოქტომბერშივე მოხდება“.

შეგახსენებთ, რომ ვილტორდმა „არსენალიდან“ წასვლის შემდეგ ესპანურ პრიმერადივიზიონში გადასვლის რამდენიმე შანსზე უარი განაცხადა და ფრანგულ „ლიონს“ დაუდო ხელშეკრულება.

„არადა, თავიდან საფრანგეთში ჩამოსვლაზე არ ვფიქრობდი, მეგონა კარიერის გაგრძელება ესპანეთში მომიხდებოდა, რადგან ესპანურ ფეხბურთს ჩემი სტილის კაცი წესით კარგად უნდა მოერგოს“ — დასძინა თავდამსხმელმა.

**პაპუნა ძიდია**

# ნახევარი ჩეხის დასაწყისი

**იუვენტუსელმა** ჩეხმა, პაველ ნედვედმა სერია A-ს ახალი სეზონის პირველ დღეს შთამბეჭდავი თამაშით დაგვამახსოვრა თავი. მან ტურინელებს ბრეშაში დიდად შეუწყო ხელი, რათა მათ რობერტო ბაჯოს ბოლო გუნდთან 3:0 მოეგოთ. ამ სამი გოლიდან ერთი, პირველი, სწორედ ნედვედმა გაიტანა.

„თუ ბოლომდე გულწრფელად ვიტყვით, ამჟამად დიდებულ ფორმაში ნამდვილად არ ვართ. შეიძლება ასე შევაფასოთ: დღეს ჩემი შესაძლებლობების 50 პროცენტს თუ გამოვავლენ და მაინც, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გუნდის თამაშში მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანე. რას ველი ამ სეზონისგან? იმედი მაქვს, რომ წარმატებული წელიწადი მექნება და ჩემპიონთა ლიგაში გავიმარჯვებთ. ეს სწორედ ის თასია, რომლის მოსაპოვებლადაც გადავედი თავის დროზე „იუვენტუსში“.

და კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელმაც კვირას ტურინელთაგან თვალი მოგვჭრა, შვედი ზლატან იბრაჰიმოვიჩი გახლდათ.

„ტურინში კარიერის გოლით დაწყება ოცნება იყო და ამიტომაც შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ვარ“ — განაცხადა იბრაჰიმოვიჩმა.

**პაპუნა ძიდია**



პაველ ნედვედი



ზლატან იბრაჰიმოვიჩი



ოლე გუნარ სოლსკიაერი „მანჩესტერში“ კიდევ ითამაშებს

# ოლე, წითელი მაისურა!

„**მანჩესტერ იუნაიტედის**“ ნორვეგიელი მოთამაშე, ბოლო დროს მივიწყებული ოლე გუნარ სოლსკიაერი ტრავმის შემდეგ სრულფასოვან, რიხიან დაბრუნებას გვპირდება. მოგეხსენებათ, ბოლო რამდენიმე სეზონია სოლსკიაერს ჯანმრთელობა მუხთლობს და საბოლოოდ, აგვისტოში საქმე ოპერაციამდეც მივიდა.

ნორვეგიელი, რომელიც უკვე 31 წლის არის, ბევრს მაინც ჩამოწერილი ჰყავს, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, თავად მიიჩნევს, რომ ჯერ კიდევ შესწევს „მანჩესტერის“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის ძალა.

„ჩემს მდგომარეობაში ყურადღების მხოლოდ საკუთარ თავზე გამახვილებაა საჭირო. გუნდის ძირითადში დასაბრუნებლად სწორი, გამოთვლილი ნაბიჯებით სვლაა საჭირო. ჩემთვის, მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდი სტიმული „იუნაიტედის“ წითელი მაისურის მორგება და „ოლდ ტრეფორდზე“ გოლების გატანაა. სწორედ ამას ვპირდები ჩემს თავს და „იუნაიტედის“ ქომაგებს“ — ამბობს სოლსკიაერი.

**პაპუნა ძიდია**

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ოტმარ ჰიცფელდი ჩელსი ვერ გაჩერდება



**მიუნხენის** „ბაიერნის" ყოფილი მწვრთნელი და დღემდე უმუშევარი ოტმარ ჰიცფელდი საამსეზონო ჩემპიონთა ლიგის ფავორიტებად ესპანურ გრანდებს, „ბარსელონას" და მადრიდის „რეალს" მიიჩნევს.

ჟურნალ „კიკერის" მესვეტემ გუშინ მათ შანსებზე დაწერა: „მადრიდელებმა დაცვის ხაზი გააძლიერეს, ხოლო თავდასხმაში მაიკლ ოუენი შეიმატეს. მიუხედავად იმისა, რომ რაულთან კონკურენციის გამო „სანტიაგო ბერნაბეუზე" ოუენთან დაკავშირებით ვითარება ბუნდოვანია, „რეალს" მაინც ძალიან ძლიერი მოიერიშეები ჰყავს და დიდი შანსი აქვს, ლიგის ჩემპიონი გახდეს".

რაც შეეხება „ბარსას", გერმანელი სპეციალისტი „რეალის" მოძულეს „იდუმალი ფავორიტის" სტატუსს აკუთვნებს, რადგანაც: „ფრანკ რაიკარდმა გუნდში ახალი მენტალიტეტი დანერგა. „ბარსელონა" არა მხოლოდ შემადგენლობით შეიცვალა, არამედ ხასიათითაც. იქ ახლა სულ სხვა, ოპტიმისტური განწყობა სუფევს. მას ნებისმიერი ევროპელი გიგანტის დამარცხება ძალუძს".

ისე როგორ იქნებოდა, ჰიცფელდს თავის ყოფილი გუნდზე არ ეთქვა ორიოდ სიტყვა, თუმც ჰერ ოტმარმა რატომღაც „ბაიერნის" შანსებზე არაფერი თქვა, თავი შეიკავა, თუმცა აღნიშნა, რომ ბავარიულ გოლიათს ჯგუფურ ეტაპზე სიძნელეები შეხვდება.

რაც შეეხება წინა სეზონის ტრიუმფატორ პორტუგალიურ „პორტუს", ჰიცფელდის აზრით, ლუზიტანიელებს შარშანდელის გამეორებისათვის ძალები არ ეყოფათ. გერმანელი, ვინც ხსენებული ლიგა 1997 წელს დორტმუნდის „ბორუსიასთან" და 2001-ში „ბაიერნთან" ერთად მოიგო, „ჩელსის" პირველგუნდობასაც გამორიცხავს. „მიუხედავად მათი მრავალმილიონიანი ტრანსფერებისა, „ჩელსის" გაჩემპიონებაზე სანაძლეოს არასოდეს ჩავალ" — ამბობს ბოლოს მესვეტე.

**ლადო ხომერიძე**

# რეალისტი ოუენი

*მაიკლ ოუენი „სანტიაგო ბერნაბეუზე" თავის მომავალს ოპტიმისტურად უყურებს და იმედი აქვს, რომ „რეალის" ძირითადში რაულთან ერთად ბურთაობას და ესპანური ენის შესწავლას თანაბარი წარმატებით მოახერხებს. ალბიონელ ვარსკვლავბიჭუნას ესპანური „ლიბრედირექტო" გაესაუბრა*

**— „რეალი" პრიმერაში ჯერჯერობით შეუფერხებლად მიდის, თუმც გულშემატკივრები თავიანთ საყვარელ გუნდიდან მაინც უფრო უკეთეს ბურთაობას ითხოვენ...**

— შეიძლება ჩვენს თამაშს საუკეთესო არ ეთქვას, მაგრამ დადებით შედეგს მაინც მივაღწიეთ — ორი ჩატარებული მატჩიდან ორივე „რეალის" გამარჯვებით დასრულდა. მთავარი ქულებია. ჩვენ რომ უკეთესად გვებურთავა და „მალიორკასთან" ან „ნუმანსიასთან" შეხვედრები ვერ მოგვეგო, ფანები გულდაწყვეტილები იქნებოდნენ.

**— „სანტიაგო ბერნაბეუზე" თქვენი დებიუტიც შედგა...**

— ძალიან აღელვებული და თანაც აღფრთოვანებული ვიყავი, გული დამწყდა, გოლი რომ ვერ შევაგდე, თუმცა ჯერ ყველაფერი წინაა და მჯერა, „რეალისთვის" ბევრ კარგს გავაკეთებ.

**— სანამ მოედანზე შეხვიდოდით, კამაჩომ რა დაგავალათ?**

— ბევრი მოძრაობა და რონალდოს უკან თამაში. ეს კი ჩემთვის სიახლე არ იყო — „ლივერპულში" და ინგლისის ნაკრებშიც გამოკვეთილი ფორვარდის სიახლოვეს ვიყავი.

**— „რეალის" ძირითადში თქვენსა და რაულის კონკურენციაზე ბევრს ლაპარაკობენ?**

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ენის არცოდნის გამო აქაურ სპორტულ პრესას ვერ ვკითხულობ და ჩემსა და რაულის შესახებ რას წერენ, ნაკლებად ვიცი. რაული, თავისთავად ცხადია, დიდებული ფეხბურთელია.

**— და შესაძლებელია ძირითადში ოუენისა და რაულის ერთად თამაში?**

— რასაკვირველია, ადრე თუ გვიან, ფანები მოედანზე ერთად გვიხილავენ. ეს მადრიდის „რეალია" და ნებისმიერი ჩვენი ფეხბურთელი თანაგუნდელთან შეთამაშებას რიგიანად მოახერხებს.

**— ესპანეთს უკვე შეეჩვიეთ?**

— ამ მხრივ ყველაფერი კარგადაა. მალე მადრიდში სახლს შევიძენ, რადგან ჩემი პატარა გოგონა მხოლოდ ერთი წლისაა და ვატყობ, სასტუმროში ცხოვრება არ მოსწონს.

**— ენის შესწავლა რთულია?**

— სიძნელეები ნამდვილად არის, მაგრამ დროთა განმავლობაში „ჩემ" ესპანურსაც დავხვეწ. როდესაც სახლს ვიყიდი, ამ საქმეს უფრო სერიოზულად მოვეკიდები.

**— ახალ გარემოსთან შესაჩვევად ცხადია, დევიდ ბექემიც გეხმარებათ...**

— დევიდი დიდ სამსახურს მიწევს. ყოველდღიურ ამბებში ძალიან მეხმარება. როდესაც ერთად არ ვართ, ტელეფონით მირეკავს და რჩევებს მაძლევს. მიხარია მისი წარმატება — „ნუმანსიასთან" შესანიშნავი გოლი გაიტანა...



მაიკლ ოუენს დევიდ ბექემი რჩევებს აძლევს



# ბელაბედი ციხის კართან

**ბელგიური** „ლუვიეს" ფეხბურთელი რაშიდ ბელაბედი ყოფილ ჟურნალისტზე თავდასხმის გამო დააპატიმრეს. წარმოშობით მაროკოელი და ბელგიის მოქალაქე ბელაბედი უკვე ორი წელია, „ლუვიეში" თამაშობს. იგი გუშინწინ სალამოს ბრიუსელში, **RTL-TV**-ის სტუდიიდან გამოსულ კლოდ მონიკეს დაუხვდა და წიხლქვეშ გაიგდო. მონიკე, რომელიც ტერორიზმის პრობლემაზე წერდა, ტელევიზიაში საკვირაო თოქ-შოუზე იყო მიწვეული. „სტუდიიდან მეგობართან ერთად გამოვედი — თქვა ნაცემმა — ვიღაც ბიჭი მომიახლოვდა და მითხრა, რომ ჩემთან საუბარი სურდა. აშკარად განერვიულებული ჩანდა და პირდაპირ მომახალა: თქვენ ისლამის მტერი და რასისტი ხართ".

ამ სიტყვების შემდეგ რაშიდ ბელაბედმა კლოდ მონიკეს თავში დაჰკრა, ძირს დაცემულს ფეხებით შესდგა და მიბეგვა. 24 წლის ფეხბურთელის „აყვანა" პოლიციას არ გასჭირვებია, ჟურნალისტი კი საავადმყოფოში გააქანეს.

„ლუვიეს" მისი მოთამაშის დაკავების შესახებ რომ აცნობეს, კლუბის ბოსებმა ბელაბედი გუნდიდან მოკვეთეს. დამნაშავე ამჟამად დაკავებულია და მისი საქმის განხილვა ზეგ, ხუთშაბათს დაიწყება. გამორიცხული არაა, ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯონ. „ლუვიეს" გაოცებულმა თავმჯდომარემ, ჟოზე ლამბერტმა თქვა, ეს ბიჭი აქამდე ანგელოზივით იყო და ახლა რა დაემართა, ჩვენთვისაც გაუგებარიაო.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან

**ბრაზილიური** „კორინთიანსის" 17 წლის ფორვარდი აბუდა ლონდონურ „ჩელსიში" შემოწმებაზე იმყოფება. „კორინთიანსის" მწვრთნელმა ახალგაზრდა ფეხბურთელს პირადად გაუწია რეკომენდაცია რომან აბრამოვიჩთან. „აბუდას წარმატებებს ვუსურვებ. იგი მართლაც ნიჭიერია, თუმც ჩვენ არაერთი ფორვარდი გვყავს და არა მგონია, მას ამ სეზონში მინდორზე ხშირად გასვლის შანსი მისცემოდა" — თქვა „კორინთიანსის" თავკაცმა ტიტემ.

**ჰოლანდიურმა** „ფეიენოორდმა" რუსეთის ჭაბუკთა ნაკრებისა და ვლადიკავკაზის „ალანიას" სამ ფეხბურთელს დაადგა თვალი. ინგლისში გამართულ ტურნირზე როტერდამელი სკაუტების ყურადღება პერსპექტიულმა გოლკიპერმა ალან ძუცევმა, მცველმა აზამატ ზასეევმა და ფორვარდმა სოსლან ალბეგოვმა მიიქციეს. „ფეიენოორდის" წარმომადგენლები უკვე დაუკავშირდნენ „ალანიას". ჰოლანდიელები განსაკუთრებულ ინტერესს ახალგაზრდა მეკარის მიმართ იჩენენ.

**იტალიური** „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ცნობილ სამოდელო სახლთან „დოლჩე და გაბანასთან" გააფორმა კონტრაქტი. „ჩვენ საუკეთესო ვარიანტი ავირჩიეთ. „დოლჩე და გაბანამ" უკვე წარმოგვიდგინა ნიმუშები. უნდა აღვნიშნო, რომ კრებულში შევა „მილანის" საზამთრო, საზაფხულო და არაოფიციალური მატჩებისთვის განკუთვნილი ფორმები" — აღნიშნა გალიანიმ.

**ლატვიური** „სკონტოს" პრეზიდენტმა გიუნტის ინდრიკსონმა კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ალექსანდრს სტარკოვსის ნაცვლად მისი ყოფილი თანაშემწე იურის ანდრეევსი დანიშნა. ამ უკანასკნელს იურის შევლიაკოვსი დაეხმარება, რომელიც ლატვიის ახალგაზრდულ ნაკრებსაც წვრთნის. ანდრეევსი პოსტზე სეზონის ბოლომდე დარჩება, მერე კი რიგელთა პრეზიდენტი საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ გააუქმა ყვითელი ბარათი, რომელიც „ასტონ ვილასა" და „ჩელსის" შეხვედრაში დიდე დროგბას 81-ე წუთზე უჩვენეს. თავისი შეცდომა ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ თავად მსაჯმა რობ სტაილზმაც აღიარა. „არბიტრი მიხვდა, რომ დროგბას მისი მოტყუება არ უცდია და სიმულაციას ადგილი არ ჰქონდა. დროგბას ყვითელი ბარათი მატჩის ოფიციალური ოქმიდან ამოშლილია" — ნათქვამია ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის განცხადებაში.

**იტალიური** „მილანის" ნახევარმცველმა კლარენს ზეედორფმა თავისებურად მიაგო პატივი ბესლანის ტრაგედიის დროს დაღუპულებს. „ლივორნოს" კარში გატანილ ორ გოლს ჩრდილოეთ ოსეთში ტრაგიკულად გარდაცვლილი ბავშვების ხსოვნას ვუძღვნი. ამ ამბავზე ძალიან ბევრს ვფიქრობ და თანავუგრძნობ ყველა დაზარალებულ ოჯახს" — თქვა ჰოლანდიელმა. გარდა ამისა, სერია A-ს პირველ ტურში „პალერმოს" ქომაგებმა სტადიონზე გამოფინეს ტრანსპარატი წარწერით: „ბესლანი 01.09.04, რათა არასოდეს დაგვავიწყდეს". დაახლოებით ანალოგიური სახის ტრანსპარატი გამოფინეს „რომას" ქომაგებმაც.

## არგენტინა

| 22.30 | 676 | სოშო-სტაბეკი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 22.45 | 677 | პარმა-მარიბორი | 1,22 | 5,3 | 11,0 | 1 | 1,09 | 3,57 |
| 22.45 | 678 | მილუოლი-ფერენცვაროში | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 22.45 | 679 | ნიუკასლი-ჰაპოელი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 22.45 | 680 | აუსტრია-ლეგია | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 22.45 | 681 | ჰართსი-ბრაგა | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 23.00 | 682 | მიდლსბრო-ბანიკი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.00 | 683 | ბოდიო გლიმტი-ბეშიქთაში | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 23.00 | 684 | პაოკ-ალკმაარი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 23.00 | 685 | სევილია-ნასიონალი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.00 | 686 | სარაგოსა-სიგმა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 24.00 | 687 | მარიტიმუ-რეინჯერსი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 00.30 | 688 | სპორტინგი-რაპიდი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 00.30 | 689 | ჰაფნარფიორდური-ალემანია | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |

**ჰოკეი. ფინეთი**

**16 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 1085 | ილვესი-ტაპარა | 2,7 | 4,4 | 1,85 | 1,67 | 1,09 | 1,3 |
| 19.30 | 1086 | იუვესკიულე-სეიპა | 1,65 | 4,4 | 3,4 | 1,2 | 1,11 | 1,91 |
| 19.30 | 1087 | კერპეტი-ჰაამეენლინა | 1,6 | 4,4 | 3,6 | 1,17 | 1,1 | 1,98 |
| 19.30 | 1088 | ლუკო-ესეტი | 1,65 | 4,4 | 3,4 | 1,2 | 1,11 | 1,91 |
| 19.30 | 1089 | ტურკუ-ესპოო | 1,8 | 4,4 | 2,8 | 1,27 | 1,09 | 1,71 |
| 19.30 | 1090 | ჰელსინკი-იოკერიტი | 2,3 | 4,2 | 2,2 | 1,48 | 1,12 | 1,44 |

**ჰოკეი. მსოფლიოს თასი**

**14 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03.00 | 1101 | კანადა-ფინეთი | 1,55 | 4,4 | 3,8 | 1,14 | 1,1 | 2,03 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5501 | არსენალი-პსვ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5502 | სელტიკი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | პანათინაიკოსი-რუსენბორგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | პორტუ-ცსკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | პსჟ-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | ვალენსია-ანდერლეხტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | შახტარი-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | ინტერი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | მაკაბი(თ.ა)-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | აიაქსი-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | რომა-დინამო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | ფენერბაჰჩე-სპარტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | დეპორტივო-ოლიმპიაკოსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ლევერკუზენი-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ლივერპული-მონაკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ლიონი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5301 | არსენალი-პსვ | 1,9 | 1,7 |
| 5302 | სელტიკი-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| 5303 | პანათინაიკოსი-რუსენბორგი | 1,75 | 1,85 |
| 5304 | პორტუ-ცსკა | 1,75 | 1,85 |
| 5305 | პსჟ-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 5306 | ვალენსია-ანდერლეხტი | 1,85 | 1,75 |
| 5307 | შახტარი-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 5308 | ინტერი-ვერდერი | 1,7 | 1,9 |
| 5309 | მაკაბი(თ.ა)-ბაიერნი | 1,7 | 1,9 |
| 5310 | აიაქსი-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 5311 | რომა-დინამო | 1,8 | 1,8 |
| 5312 | ფენერბაჰჩე-სპარტა | 1,7 | 1,9 |
| 5313 | დეპორტივო-ოლიმპიაკოსი | 1,8 | 1,8 |
| 5314 | ლევერკუზენი-რეალი | 1,65 | 1,95 |
| 5315 | ლივერპული-მონაკო | 1,7 | 1,9 |
| 5316 | ლიონი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | არსენალი-პსვ | 1,95 | 1,65 |
| 5202 | სელტიკი-ბარსელონა | 1,7 | 1,9 |
| 5203 | პანათინაიკოსი-რუსენბორგი | 1,8 | 1,8 |
| 5204 | პორტუ-ცსკა | 1,75 | 1,85 |
| 5205 | პსჟ-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 5206 | ვალენსია-ანდერლეხტი | 1,9 | 1,7 |
| 5207 | შახტარი-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 5208 | ინტერი-ვერდერი | 1,85 | 1,75 |
| 5209 | მაკაბი(თ.ა)-ბაიერნი | 1,8 | 1,8 |
| 5210 | აიაქსი-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 5211 | რომა-დინამო | 1,85 | 1,75 |
| 5212 | ფენერბაჰჩე-სპარტა | 1,75 | 1,85 |
| 5213 | დეპორტივო-ოლიმპიაკოსი | 1,9 | 1,7 |
| 5214 | ლევერკუზენი-რეალი | 1,85 | 1,75 |
| 5215 | ლივერპული-მონაკო | 1,75 | 1,85 |
| 5216 | ლიონი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5401 | არსენალი-პსვ | 1,25 | 3,7 |
| 5402 | სელტიკი-ბარსელონა | 2,0 | 1,8 |
| 5403 | პანათინაიკოსი-რუსენბორგი | 1,55 | 2,5 |
| 5404 | პორტუ-ცსკა | 1,4 | 3,0 |
| 5405 | პსჟ-ჩელსი | 2,0 | 1,8 |
| 5406 | ვალენსია-ანდერლეხტი | 1,25 | 3,7 |
| 5407 | შახტარი-მილანი | 2,2 | 1,7 |
| 5408 | ინტერი-ვერდერი | 1,45 | 2,8 |
| 5409 | მაკაბი(თ.ა)-ბაიერნი | 2,3 | 1,65 |
| 5410 | აიაქსი-იუვენტუსი | 1,9 | 1,9 |
| 5411 | რომა-დინამო | 1,35 | 3,2 |
| 5412 | ფენერბაჰჩე-სპარტა | 1,6 | 2,4 |
| 5413 | დეპორტივო-ოლიმპიაკოსი | 1,3 | 3,4 |
| 5414 | ლევერკუზენი-რეალი | 2,0 | 1,8 |
| 5415 | ლივერპული-მონაკო | 1,7 | 2,2 |
| 5416 | ლიონი-მანჩესტერი | 1,9 | 1,9 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | არსენალი-პსვ | 1,5 | 3,1 | 7,0 | 1,01 | 1,23 | 2,14 |
| 5002 | სელტიკი-ბარსელონა | 3,5 | 2,05 | 2,7 | 1,29 | 1,52 | 1,16 |
| 5003 | პანათინაიკოსი-რუსენბორგი | 2,1 | 2,1 | 5,3 | 1,04 | 1,5 | 1,5 |
| 5004 | პორტუ-ცსკა | 1,85 | 2,3 | 5,6 | 1,02 | 1,39 | 1,63 |
| 5005 | პსჟ-ჩელსი | 3,6 | 2,05 | 2,6 | 1,3 | 1,5 | 1,14 |
| 5006 | ვალენსია-ანდერლეხტი | 1,6 | 2,8 | 6,5 | 1,01 | 1,28 | 1,95 |
| 5007 | შახტარი-მილანი | 4,4 | 2,05 | 2,35 | 1,39 | 1,53 | 1,09 |
| 5008 | ინტერი-ვერდერი | 1,95 | 2,2 | 5,6 | 1,03 | 1,44 | 1,57 |
| 5009 | მაკაბი(თ.ა)-ბაიერნი | 4,8 | 2,1 | 2,2 | 1,46 | 1,5 | 1,07 |
| 5010 | აიაქსი-იუვენტუსი | 3,3 | 2,05 | 2,9 | 1,26 | 1,54 | 1,2 |
| 5011 | რომა-დინამო | 1,75 | 2,4 | 6,0 | 1,01 | 1,35 | 1,71 |
| 5012 | ფენერბაჰჩე-სპარტა | 2,15 | 2,1 | 5,0 | 1,06 | 1,5 | 1,47 |
| 5013 | დეპორტივო-ოლიმპიაკოსი | 1,65 | 2,6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5014 | ლევერკუზენი-რეალი | 3,6 | 2,05 | 2,6 | 1,3 | 1,5 | 1,14 |
| 5015 | ლივერპული-მონაკო | 2,25 | 2,05 | 4,8 | 1,07 | 1,53 | 1,43 |
| 5016 | ლიონი-მანჩესტერი | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |

## ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფში I ადგილი (14 სექტემბერი. 23.45)

| 7001 ჯგუფი A | | 7002 ჯგუფი B | | 7003 ჯგუფი C | | 7004 ჯგუფი D | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 2,2 | რეალი | 1,5 | იუვენტუსი | 1,9 | მანჩესტერი | 1,4 |
| ლივერპული | 2,3 | რომა | 3,5 | ბაიერნი | 2,3 | ლიონი | 3,5 |
| მონაკო | 3,2 | ლევერკუზენი | 5,0 | აიაქსი | 4,0 | ფენერბაჰჩე | 7,0 |
| ოლიმპიაკოსი | 10,0 | დინამო | 12,0 | მაკაბი | 30,0 | სპარტა | 8,0 |

| 7005 ჯგუფი E | | 7006 ჯგუფი F | | 7007 ჯგუფი G | | 7008 ჯგუფი H | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 1,25 | მილანი | 1,8 | ინტერი | 2,1 | ჩელსი | 1,5 |
| პსვ | 5,0 | ბარსელონა | 2,2 | ვალენსია | 2,1 | პორტუ | 3,0 |
| პანათინაიკოსი | 7,0 | სელტიკი | 7,0 | ვერდერი | 5,0 | პსჟ | 5,0 |
| რუსენბორგი | 10,0 | შახტარი | 15,0 | ანდერლეხტი | 12,0 | ცსკა | 15,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | არსენალი-პსვ | 1,6 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 15,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |
| 5102 | სელტიკი-ბარსელონა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5103 | პანათინაიკოსი-რუსენბორგი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5104 | პორტუ-ცსკა | 2,0 | 12,0 | 30,0 | 3,5 | 4,8 | 11,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5105 | პსჟ-ჩელსი | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5106 | ვალენსია-ანდერლეხტი | 1,7 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 5,3 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5107 | შახტარი-მილანი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5108 | ინტერი-ვერდერი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5109 | მაკაბი(თ.ა)-ბაიერნი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5110 | აიაქსი-იუვენტუსი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5111 | რომა-დინამო | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5112 | ფენერბაჰჩე-სპარტა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5113 | დეპორტივო-ოლიმპიაკოსი | 1,8 | 12,0 | 30,0 | 3,5 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5114 | ლევერკუზენი-რეალი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5115 | ლივერპული-მონაკო | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5116 | ლიონი-მანჩესტერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვანო გრიქუროვი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან და მის ვაჟიშვილთან



შოთა ხაბარელი

# სიხარულის შემოქმედნი

ATHENS 2004

**ათენის** ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ოთხი დიდი სიხარულის მთავარი შემოქმედნი, რომლებიც ზურაბ ზვიადაურის, გიორგი ასანიძის, ნესტორ ხერგიანისა და რამაზ ნოზაძის ოქრო-ვერცხლის მედლებს ჭედდნენ, უწინარეს ყოვლისა, მათი მწვრთნელები იყვნენ, მერე კი ყველა დანარჩენი, რომლებმაც მეტ-ნაკლები წვლილი შეიტანეს ქართველ სპორტსმენთა მიღწევებში. და მაინც, რომ არა საქართველოს ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის ფინანსური დახმარება, საეჭვოა, რომ ათენიდან ასეთი მონაგარით დავბრუნებულიყავით. ეს ათენური ფოტორეპორტაჟიც სწორედ ჩვენი ოლიმპიელების წარმატებების შემოქმედთ ეძღვნება, რამაც, ბუნებრივია, ყველა ვერ დაიტია.

მათგან ვანო გრიქუროვი პირველია, რომლის სამწვრთნელო ქურაში ძალოსან კახი კახიაშვილის მერე გიორგი ასანიძის ოლიმპიური ოქროც გამოიჭედა.

ჩვენი ძიუდოისტების მთავარ მწვრთნელ შოთა ხაბარელის, როგორც ოლიმპიური ჩემპიონის ანგარიშზე ზურაბ ზვიადაურის ოქრო და ნესტორ ხერგიანის ვერცხლია. და რაკი მისი სამწყსოს კიდევ ორ წევრს საპრიზო ადგილამდე ერთიორი ნაბიჯილა დააკლდა, იგი ამ ოლიმპიური ტატამის საუკეთესო მწვრთნელადაც აღიარეს. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კრახისგან გვიხსნა ვერცხლის მედალოსან რამაზ ნოზაძის პირადმა მწვრთნელმა ოთარ ტატიშვილმა და უფროსმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ.

თითოეულ ჩვენს მოჭიდავეს კრუხივით თავს დაჰფოფინებდა საქართველოს ოლიმპიელთა მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი, რომელმაც მათ წარმატებაში თავისი წილი დაიდო.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**ავტორის ფოტოები**



საქართველოს ელჩი საბერძნეთში ზვიად ჭუმბურიძე, სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და თავად მინისტრი გოკა გაბაშვილი



ოთარ ტატიშვილი



ბეგი დარჩია



ოლიმპიურ სოფელში საქართველოს ოლიმპიელთა მეთაური ლერი ხაბელოვი



ბადრი პატარკაციშვილი



ზურაბ კახაბრიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# მაკედონია დღესაც დონეა

## *დღეს გამთენიისას საქართველოს ნაკრები ვენაში გაფრინდა, რათა იქიდან სკოპიეს თვითმფრინავში გადაჯდეს და ხვალ, ჩვენი დროით ცხრის ნახევარზე, მაკედონიის ეროვნულ გუნდს ეთამაშოს*

**ქართველებს** ფინეთთან მოპოვებული გამარჯვება უმაგრებთ ზურგს, ექსიუგოსლაველებმა კი 11 სექტემბერს წინასწარ დაბევებული მოგება ოფიციალურად გაიფორმეს ლუქსემბურგში. ჯგუფის ლიდერი პირობითად მაკედონიაა, რაკი ჯუჯა-სახელმწიფოში 25 ქულით იმარჯვა და ცხრილის სათავეში დასკუპდა.

ლუქსემბურგელებთან მატჩი მაკედონიელთათვის გასეირნება იყო, „ხუთჯვაროსნებმა" კი შინ დიდი ბრძოლა გადაიტანეს და ბოლოსლა გატეხეს „ცივსისხლიანი" ფინელები. ხვალინდელი მატჩი ალბათ გასცემს პასუხს კითხვას — ვინ წავა ერთწლიან შვებულებაში ჯგუფის ლიდერად. თუ საქართველომ იმარჯვა, მინიმუმ მომავალი წლის სექტემბრამდე — სანამ საკვალიფიკაციო ტურნირს მეორე წრის მატჩები განაახლებს — პირველობას ვერავინ შეეცილება.

მაგრამ ეს „თუ" გვაფიქრიანებს. ფინენთთან მატჩის პირველი ნახევრის შემხედვარე ვერაფრით იქნები ოპტიმისტი და მეორე ტაიმშიც არ უფრენიათ „ხუთჯვაროსნებს" ისე, რომ ყოფილი იუგოსლავიის თუნდაც პროვინციაში უეჭველი მოგება დაგეგმო. მაკედონია ხომ ნაწილია იმ აწ უკვე დანგრეული ქვეყნისა, სადაც კალათბურთი ლამის რელიგიამდე იყო აღზევებული და სადაც თაობას არ ჩაუვლია, მსოფლიო კალათბურთისთვის გენიოსი არ ეჩუქებინა.

გენიოსები თუ არა, დიდი მოთამაშეები არც ახლა აკლიათ ბალკანელებს, მაგრამ მაკედონიის ხვედრითი წილი ამ საქმეში შედარებით მოკრძალებულია. ეს რომ ასე არ იყოს, ამ ქვეყანას არავინ დაამდაბლებდა B დივიზიონში. თუმც მაკედონიელებს არც ახლა აკლიათ შემძლე ხალხი. თუ აკლდათ, ამასწინათ გამოისწორეს მდგომარეობა — ამერიკელ ცენტრ კენიონ ჯონსს მოქალაქეობა უბოძეს.

მაკედონიელებს შელახული პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება სურთ. რას ჰქვია, სუსტებში გაგვანაწილესო და საკვალიფიკაციო მატჩებს ქედმაღლურად ხვდებიან. მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთი მაკედონიელისთვის ფული მეტს ნიშნავს, ვიდრე ეროვნული თავმოყვარეობა და ნაირგვარი მიზეზების გამო ისინი უარობენ ნაკრებში თამაშს. არადა, ეს „მეამბოხენი" ვინ ვინ და მაკედონიელთა გუნდის ლიდერები არიან — პეტარ ნაუმოსკი, ვრბიცა სტაფანოვი, ვლადო ილიევსკი და ის ნატურალიზებული კენიონ ჯონსი.

არსებობს ოფიციალური მიზეზები, რის გამოც ეს ხალხი შაბათს ლუქსემბურგში არ ჩავიდა. ნაუმოსკიმ — თამაშს საერთოდ ვანებებ თავსო. სტეფანოვს სადაზღვევო პრობლემები აქვს, ილიევსკიმ კი, „ბარსელონაში" ვაპირებ დარჩენას და ლუქსემბურგელებთან მატჩის გამო ჩემს ჯანმრთელობას სასწორზე ვერ შევაგდებო... ჯონსიც, არაფერი არ მაინტერესებსო და არ ჩავიდა ბენილუქსის ჯუჯა-ქვეყანაში. სიმართლე არავინ იცის. ევროკალათბურთში გათქვეფილმა ვლადიმერ ბოისამ კი ფინეთთან მატჩამდე თქვა, მაკედონიის კალათბურთის ფედერაციას ფული არ აქვს, რომ მოთამაშეები ნაკრებში თამაშით დააინტერესოსო.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ დრაჟენ ბრაიკოვიჩი მაკედონიელი ლიდერების „ამბოხის" იმედად ვერ იქნება. თქვეს კიდევაც ქართული კალათბურთის მესვეურებმა, არ გვაინტერესებს, მაკედონიის გუნდში რა ხდება, სკოპიეში სავსებით მობილიზებულები მივდივართ და თუ მეტოქეს ლიდერები მართლა არ ეყოლება, ძალიანაც კარგიო.

ასეა თუ ისე, ქართველები მოსაგებად მიდიან მაკედონიაში, სადაც გინდ დახვდეთ ოპტიმალური შემადგენლობა და გინდ არა, მაინც დიდი ბრძოლა ელით. უკვე ვიცით, რომ არც „ხუთჯვაროსნებს" ჰყავთ უძლიერესი შემადგენლობა. შესაძლოა, აქამდე გამოკლებულებს — სტეფანიას, ნაცვლიშვილსა და სანიკიძეს ნიკა ცქიტიშვილიც შეუერთდეს, რომელიც ნატკენი ფეხით მიდის სკოპიეში და ეგებ მოედანზე ვერც გავიდეს.

ქართველები დღეს საღამოს ჩაფრინდებიან სკოპიეში და სასტუმრო „ვოდნოში" დაბინავდებიან. ხვალ საღამოს კი ბრძოლაა, ძალიან ბევრი რამის განმსაზღვრელი — ვინ იცის, ქართველთა ყოფნა-არყოფნის მატჩი...

**ირაკლი პერტაია**

მძლეოსნობა

TDK GOLDEN LEAGUE ოქროს ლიგა. VI ეტაპი. ბერლინი 10 სექტემბერი



წელს ოქროს ზოდები ტონიკ უილიამს-დარლინგმა და კრისტიან ოლსონმა გაიყვეს

# ოქროს ზორცვი დაიშალა

## მილიონი ორად გაყოფილიც ბრწყინავს

**კვირას**, 12 სექტემბერს, ბერლინში წლევანდელი ოქროს ლიგის გათამაშების მეექვსე და უკანასკნელი ეტაპი გაიმართა. ერთი მილიონი დოლარის ღირებულების ოქროს ზოდებამდე ორი სპორტსმენი მოიწევდა ანუ ზღვა ათლეტებიდან მხოლოდ ორს მოეგო წინა ხუთივე ეტაპზე თავისი სახეობა. ამ დაუმარცხებელმა წყვილმა ბერლინშიც არავის დაანება საკუთარი ოქროების ხელჰყოფა და მილიონიანი ჯეკპოტიც ორად გაიყო.

შვედმა სამხტომელმა კრისტიან ოლსონმა და 400 მეტრზე მორბენალმა ბაჰამელმა ქალბატონმა ტონიკ უილიამს-დარლინგმა ლიგის ექვსივე ეტაპზე იმარჯვეს და ოქროს ზოდებს დაეპატრონნენ. ბერლინში ოლსონი სამი ნახტომის ჯამში 17,45 მეტრზე გადახტა და 500 000 გაინაღდა, შემდეგ კი 400 მეტრზე გარბენას დაელოდა. ვინ იცის, გულის სიღრმეში იმედიც ჰქონდა, ბაჰამელ ქალბატონს ფეხი დაუცდეს და მილიონი სულ მე დამრჩებაო. თუმცა, ტონიკმა დისტანციის გარბენას 49,07 წამი მოანდომა, მეორე ადგილზე გასულ მექსიკელ ანა გევარას 0,46 წამით აჯობა და თავისი წილი შეირგო.

იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ოლსონმა და უილიამს-დარლინგმა ათენიდანაც გამოზიდეს ოქროს მედლები, თამამად შეიძლება ითქვას, ამათზე ბედნიერი ცოტა სპორტსმენი თუ დადის, დარბის ან დახტის დედამიწის ზურგზე.

**ლადო ფულუკიძე**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი,
პირადად ჯანო ბაგრატიონი და ემზარ ზენაიშვილი
ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ კომპანია „ყაზბეგის" პრეზიდენტის,
საქართველოს ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტის
გოგი თოფაძის სიდედრის
ბაბულია გოგიაშვილი-ბეჟანიშვილის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ხელბურთი

# გიორგი სადრაძის ხსოვნისა



**I ტური**

აზერბაიჯანი 27:25 თბილისი
სტუ-შევარდენი 46:29 მართვე

**II ტური**

სტუ-შევარდენი 27:22 თბილისი
აზერბაიჯანი 27:19 მართვე

**III ტური**

თბილისი 31:18 მართვე
სტუ-შევარდენი 3&31 აზერბაიჯანი

შარშან გარდაცვლილი ვეტერანი ხელბურთელის გიორგი სადრაძის ხსოვნის ტურნირი ტრადიციული გახდა. გიორგის მეგობრებმა, ხელბურთის კლუბ „თბილისის" ხელმძღვანელებმა გასულ წელს პირველი შეჯიბრების შემდეგ დანაპირები აასრულეს და ამ დღეებში მეორე ტურნირი ჩაატარეს.

თბილისში, არმიის სპორტული კლუბის დარბაზში ამჯერადაც ოთხი გუნდი ვიხილეთ — საქართველოს 14-გზის ჩემპიონი „სტუ-შევარდენი", აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრები, ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის „მართვე" და „თბილისი".

ჩვენი გუნდებისთვის ეს ძალთა შემოწმების მშვენიერი საშუალება იყო კარსმომდგარ მე-15 ეროვნული პირველობის წინ, რომლის დაწყებასაც საქართველოს ხელბურთის ასოციაცია ოქტომბრის პირველ რიცხვებში აპირებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, „შევარდნებმა" სამივე მეტოქეს დამაჯერებლად სძლიეს, თუმც აღსანიშნავია, რომ დასკვნით მატჩში აზერბაიჯანელ ახალგაზრდებთან პირველ ტაიმში გაუჭირდათ (17:17), მაგრამ შესვენების შემდეგ თავიდანვე საგრძნობლად დაწინაურდნენ ძირითადად თავიანთ მთავარმეგოლე მამია კობახიძის ზუსტი ტყორცნებისა და მეკარე გიორგი სამყურაშვილის საიმედო თამაშის წყალობით. კობახიძემ სტუმრებს 16-ჯერ გაუტანა და სამ თამაშში 25 გოლი დაუგროვდა, ბომბარდირი კი გახდა „თბილისის" 22 წლის ფორვარდი ლაშა სამარღანიშვილი, რომლის 36-მა ტყორცნამ მიაღწია მიზანს.

გამარჯვებულებს და გამორჩეულ მოთამაშეებს სამახსოვრო პრიზები გადასცეს გიორგი სადრაძის შვილებმა ლაშამ და გუგამ.

**გია ახალაძე**

**საბოლოო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 3 | 0 | 0 | 111:82 | 6 |
| აზერბაიჯანი | 2 | 0 | 1 | 85:82 | 4 |
| თბილისი | 1 | 0 | 2 | 78:72 | 2 |
| მართვე | 0 | 0 | 3 | 66:104 | 0 |

## US OPEN 2004 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 19 050 000 $



REUTERS ნიუ იორკიდან

# როჯერ მხიარული და უმოწყალო

## ეს ბიჭი კიდევ ბევრს მოანატრებს სამპრასს



ლეიტონ ჰიუიტმა როჯერ ფედერერს ვერაფერი შეაგება

REUTERS ნიუ იორკიდან

### კაცთა ფინალი

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ლეიტონ ჰიუიტი (4, ავსტრალია) 6:0, 7:6, 6:0**

მოკლედ — აღარ არის საშველი! თუკი ქალთა ჩოგბურთს „სკვითი მენადები“ შესევიან და კრემლის სხვენში კომბლებივით აწყობენ სლემტიტულებს, ხვადრიონს უკვე ერთჩოგნობრივად განაგებს 23 წლის აქილევსივით მოუწყვლელი და თემურლენგივით უმოწყალო როჯერ ფედერერი.

ის თამაში, რაიც მისმა შვეიცარიელმა უალპესობამ ლეიტონ ჰიუიტის წინაალმდეგ ფინალში აჩვენა, უკვე სადღაც სრულყოფილების მიჯნასთან იყო. თავადაც საუცხოო ფორმაში მყოფსა და ფინალამდე სეტისწაუგებლად მისულ ავსტრალიელს მან პირველ სეტში 6:0 გადაუარა და, მართალია, მეორეში ტაიბრეიკამდე ებულრავებინა, ბოლოსკენ ისევ ისე დათმრგუნველად დაჩაგრა, როგორც თავში.

აბა, რა გითხრათ, რა გიკომენტაროთ. რაც ჩვენ ფედერერის საქებრად და სადღეგრძელოდ ამ სეზონის განმავლობაში ფერადები, შედარებები და ნეოლოგიზმები გამოგვიყენებია, ბარემ სამ სეზონზე გაგვყებოდა. ჰოდა, ახლა მთელი ამ სახოტბო ბიჟუტერიის თავიდან აჭყეტელებას ვინძლო აზრიც აღარ ჰქონდეს, იმდენად ყველაფერი ცხადია და ნათელი.

ამიტომაც აჯობებს, ოდენ სტატისტიკური რამე-რუმეებით შემოვიფარგლოთ. ეგ მით უფრო, რომ ეს ლიტონი ციფრები იმდენად შთამბეჭდავია, საქმეში ჩაუხედავი მკითხველიც მიხვდება — თუკი მხიარულმა როჯერმა ასეთი ტემპით თუნდაც პიტ სამპრასის პენსიისწინა ასაკს (30) მიატანა, მის 14-სლემტიტულოვან რეკორდსაც დაამხობს და საერთოდაც ყველანაირ საკაცჩოგბურთო მიღწევასაც შეეცილება...

რაღა ბევრი გავაიმასვქნათ, საქმის ვითარება ასეთია:

ფედერერი გახდა პირველი კაცმეჩოგნე ღია პირველობათა ერაში ანუ 1968 წლიდან დღემდე, ვინაც თავის პირველი ოთხი სლემფინალიდან ოთხივეში იმარჯვა. შეგახსენებთ, რომ აშშ-ის ღია პირველობამდე მან წლეულს ავსტრალიის ღია პირველობა და უიმბლდონიც მოიგო და შარშან უიმბლდონზევე დაუდო სათავე თავის წარმატებულ სასლემტურნირო ოდისეას.

მატს ვილანდერის — ანუ 1988 წლის — შემდეგ ფედერერი ასევე პირველი კაცმეჩოგნე შეიქნა, ერთ სეზონში სულ მცირე სამი სლემტიტულის მოქუჩება რომ შეძლო.

ამგვარად, მან დიდი მუზარადის უკანასკნელი ექვსი ტურნირიდან უკვე ოთხი მოიგო, რაიც პიტ სამპრასის — ანუ 1993-94 წლების — მერე აღარავის მოჰხერხებია. ოღონდ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ლეგენდარულმა ელინოამერიკელმა იმ წლებში ოთხი სლემტიტული სულაც ხუთ სლემტურნირეულის ფარგალში იშოვა.

გარდა ამისა, 1884 წლის ფინალის მერე აშშ-ის ღია პირველობაზე ისეთი რამე აღარ მომხდარიყო, ვინმეს ორი სეტი 6:0 რომ მოეგო.

სხვაფრივ კი — ეს ფედერერის მე-20 საკარიერო და უკვე მე-9 (!) საამსეზონო ტიტულია. ნიუ იორკის გარდა მან წლეულს — როგორც ზევითაც მოგახსენეთ — მელბურნსა და უიმბლდონშიც ისლემტიტულა და გარდა ამისა მოიგო მასტერსტურნირები ინდიანუელსში, ჰამბურგსა და ტორონტოში და — ჩვეულებრივი ტურნირები დუბაიში, ჰალესა და გშტაადში.

ამ ხნის განმავლობაში მან 64 გამარჯვების წილ მეტოქეებს სულ რაღაც 6 მატჩი დაანება. საპრიზოდ კი ამ მომენტისთვის ზორბა თანხას, 4 753 222 დოლარს მოიძევს, რაიც მისი მთელი საკარიერო მონაგრის მესამედზე მეტია.

ჰო, მართლა — ისევე როგორც ქალთა შორის კენტად გამორჩეულ სვეტლანა კუზნეცოვას, ტურნირის მოგებისთვის მასაც ერთი მილიონი დოლარი ერგო...

„ჩემს უსანუკვრეს ოცნებებშიც კი ვერ წარმოვიდგენდი, აშშ-ის ღია პირველობას თუ მოვიგებდი — ამბობდა ფინალის მერე ფედერერი — ამის დაჯერება ახლაც მიჭირს. საერთოდ, წლეულს ჩემს მიერ მოგებულ ტურნირებს რომ ვიხსენებ, გაოცება მეუფლება, თვითონ მიკვირს, როგორ შევძელი ამდენის მიღწევა.“

„ჩემი მიზანი პიტ სამპრასის რეკორდის დამხობა სულაც არ არის... წინ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი, კიდევ ბევრი და მძიმე შრომა მელის. არავინ იცის, როდის დადგება ის დღე, როცა შეიძლება მოგბეზრდეს ეს გაუთავებელი ხეტიალი და ოფლისღვრა. ამიტომ ახლა ვცდილობ, საამმომენტო ბედნიერება მომავალზე, შესაძლო წარმატებებსა თუ წარუმატებლობებზე ფიქრით არ წავიმურდლო.“

„ახლა მხოლოდ ის მინდა, ჩემი პირველოსნობით დავტკბე და ცხადია, ისიც მინდა, ამ პირველოსნობამ კიდევ ცოტა ხანს მაინც გასტანოს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ჩემთვის ის არის, პატარებისთვის მათი კერპი გავხდე და ჩემი ქცევით მუდამ სპორტის მაღალ იდეალებს შევესაბამებოდე...“

ლეიტონ ჰიუიტი კი ნამატჩევს ჰალალად აღიარებდა, რომ ფედერერთან დამარცხებები უკვე ყელში ამოუვიდა. მოგაგონებთ, რომ წლეულს ისინი ერთმანეთს უკვე მეოთხედ ხვდებოდნენ და, ისევე როგორც ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხე წრეში, ჰამბურგული მასტერსთიხნარობის ნახევარფინალში თუ უიმბლდონობის მეოთხედფინალში, კისკასმა ოზბიჭმა ამ ჯერზეც ვერაფერი, სრულიად ვერაფერი გააწყო შვეიცარიელი მეტოქის წინაალმდეგ.

„ის ახლა სასწაულ ჩოგბურთს თამაშობს — ამბობდა ის ფედერერზე — მე ახლა ვერ წარმომიდგენია, ვინ შეძლებდა მის გაჩერებას. მგონი, პიტ სამპრასსაც კი უნდა გასჭირვებოდა... გააუმჯობესებს თუ არა პიტის რეკორდს? ყოველ შემთხვევაში, საამისოდ მას უდიდესი შანსი აქვს. ჩვენ, დანარჩენებმა ის მაინც უნდა ვცადოთ, რომ შიგადაშიგ რამდენიმე ტურნირი ჩავაგდებინოთ ხოლმე... რაც შემეხება მე, ცხადია, სლემფინალში დამარცხება ყოველთვის დასანანია, თანაც მე ხომ პირველად წავაგე სლემფინალი. მაგრამ ჩემი ბოლოდროინდელი გარჯით მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ — მიხარია, ისევ ოდინდელ დონეს რომ დავუბრუნდი.“

**ლევან ძელაურაძე**

### დანარჩენი ფინალები

**წყვილები**

**კაცები**

**მარკ ნოულზი (ბაჰამები), დანიელ ნესტორი** (კანადა) — ლეანდერი პაესი (ინდოეთი), დავიდ რიკლი (ჩეხეთი) 6:3, 6:3

**ქალები**

**ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი), **პაოლა სუარესი** (არგენტინა) — სვეტლანა კუზნეცოვა, ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:4, 7:5

**შერეული**

**ვერა ზვონარიოვა** (რუსეთი), **ბობ ბრაიანი** (აშშ) — ალიშა მოლიკი, ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 6:3, 6:4

**ახალგაზრდები**

**ბიჭები**

**ენდრიუ მიური** (ბრიტანეთი) — სერგეი სტახოვსკი (უკრაინა) 6:4, 6:2

**გოგონები**

**მიხაელა კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — ჯესიკა კირკლენდი (აშშ) 6:1, 6:1




ახალგაზრდა გოგონებში გამარჯვებული მიხაელა კრაიჩეკი განთქმულ რიხარდ კრაიჩეკს ნახევარდად ერგება

REUTERS ნიუ იორკიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბორჯომის თასი. თიხნარი. საპრიზო 10 000 $

ფინალი

**მარია კონდრატიევა (1, რუსეთი) — მაკა ჩახნაშვილი (5, საქართველო) 7:5, 6:4**

# ბორჯომი რუსმა დალია



მაკა ჩახნაშვილი

„ბორჯომის თასის" პირველ გათამაშებაში პირველმა ნომერმა იპირველა. რუსმა მარია კონდრატიევამ თბილისამდე მოსკოვის 25-ათასიანი ტურნირის ფინალი ითამაშა და დამარცხდა. ჩემი შვილი ზედიზედ ორ ფინალს არ წააგებსო, დაიქადნა ტრიბუნაზე მჯდომმა კონდრატიევას დედამ. რას ვერჩით, მართალიც გამოდგა. მსოფლიოს რეიტინგსიის 285-ე ჩოგანმა ჩემპიონობა ორსეტიან დაძაბულ ბრძოლაში გაინაღდა.

არ გამართლდა ჩვენი ვარაუდი, რომ ბოლოს და ბოლოს საკუთარ კედლებში ქართველი გაიმარჯვებდა. მაკა ჩახნაშვილი ტიტულთან საკმაოდ ახლოს კი იყო, ეპიზოდურად კარგადაც თამაშობდა, მაგრამ მოწინაალმდეგის უზადო დარტყმებმა ორჯერ, სეტების ყველაზე მნიშვნელოვან მონაკვეთებში გატეხა.

ფინალის დასაწყისი ისეთი იყო, მაკას მარცხს ვერავინ იფიქრებდა. კონდრატიევამ რომ პირველი მოწოდება მოიგო, ჩახნაშვილის ანგარიშზე უკვე სამი ქულა ჰქონდა. ამის შემდეგ თითო ქულაც გაცვალეს და თამაშის გარდამტეხი მეშვიდე გეიმიც გათამაშდა. მაკა 4:2-ს იგებდა და თავისი მოწოდება რომ აეღო, ალბათ „ბორჯომის თასსაც" აღარ დაკარგავდა, თუმც მეშვიდე გეიმიც წააგო და რამდენიმე წუთში სეტიც.

მეორე სეტიც ტყუპისცალივით ჰგავდა პირველს. ისევ 4:2, ისევ ჩახნაშვილის მოწოდება და რუსის სიხარული. ქართველმა კი შეცდომებს უმატა, ერთი-ორჯერ ასპროცენტიანი ბურთიც ველარ ჩააგდო და კონდრატიევას მშობლის წინასწარმეტყველებაც ახდა.

ნამატჩევს მაკა ჩახნაშვილმა მეტოქეს ჩემპიონობა მიულოცა, ხოლო გულშემატკივარს წარუმატებლობისთვის მოუბოდიშა და უკეთეს თამაშს ქართუ ბანკის ტურნირზე დაჰპირდა.



მარია კონდრატიევა

## ქართუს თასი. თიხნარი საპრიზო 25 000 $

1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- ოლგა ლაზარჩუკი (1, უკრაინა)
- ევა ფერნანდესი (ესპანეთი)
- მარინა შამაიკო (რუსეთი)
- მაკა ჩახნაშვილი (საქართველო)
- აქსანა ლიუბცოვა (უკრაინა)
- მარია არხიპოვა (რუსეთი)
- ნატალია ბოგდანოვა (უკრაინა)
- ანა ბასტრიკოვა (6, რუსეთი)
- ტატიანა უვაროვა (4, ბელარუსი)
- აქსანა ტეპლიაკოვა (უკრაინა)
- სვეტლანა მოსიაკოვა (რუსეთი)
- ირინა კუზმინა (ლატვია)
- ოლგა ხრაპკოვა (რუსეთი)
- იანა ლევჩენკო (უკრაინა)
- თათია მიქაძე (საქართველო)
- ალიონა ანტიპინა (8, უკრაინა)
- მარია კონდრატიევა (5, რუსეთი)
- სოფო შაფათავა (საქართველო)
- ია ჯიქია (საქართველო)
- ნატალია რახმანინა (რუსეთი)
- ნანა უროტაძე (საქართველო)
- მატილდა იოჰანსონი (საფრანგეთი)
- სოფო მელიქიშვილი (საქართველო)
- ელენა ვესნინა (3, რუსეთი)
- კატარინა კაჩლიკოვა (7, სლოვაკეთი)
- ანე ლორენდონი (საფრანგეთი)
- დარია კუსტავა (ბელარუსი)
- თინათინ ყავლაშვილი (საქართველო)
- ეკატერინა კოჟოხინა (რუსეთი)
- ნატალია პერვიცკაია (რუსეთი)
- ლიზა ტონეტი (იტალია)
- ანასტასია იაკიმოვა (2, ბელარუსი)

**პირველი წრე**

**ოლგა ლაზარჩუკი** (1, უკრაინა) — ევა ფერნანდესი (ესპანეთი) 6:1, 7:5; **აქსანა ლიუბცოვა** (უკრაინა) — მარია არხიპოვა (რუსეთი) 3:6, 7:6 (7:2), 6:2; **ანა ბასტრიკოვა** (6, რუსეთი) — ნატალია ბოგდანოვა (უკრაინა) 6:3, 3:6, 6:0; **ტატიანა უვაროვა** (4, ბელარუსი) 6:4, 4:6, 6:1; **ეკატერინა კოჟოხინა** (რუსეთი) — ნატალია პერვიცკაია (რუსეთი) 6:1, 6:3; **ანასტასია იაკიმოვა** (2, ბელარუსი) — ლიზა ტონეტი (იტალია) 6:1, 6:1; ია ჯიქია (საქართველო) — ნატალია რახმანინა (რუსეთი) 6:3, 3:6 გადაიდო

*17 წლის სოჭელმა ელენა ვესნინამ შარშანდელი თბილისის ტურნირი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო. ბევრი ძირითად ბადეში გასვლასაც არ უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ მან ესეც შეძლო და მერე ბევრად გამოცდილი ჩოგბურთელებიც ერთიმეორეს მიყოლებით დაიფრინა. ის გამარჯვება ელენას კარიერაში პირველი იყო და რა გასაკვირია, თბილისს ყველაზე იღბლიან ქალაქს რომ უწოდებს. ამ დღეებში ვესნინა ქართუ ბანკის ტურნირის სათამაშოდ კვლავ გვეწვია, ამჯერად უკვე ერთ-ერთი ფავორიტის სტატუსით. პირველ შეხვედრას რუსი დღეს ჩაატარებს სოფო მელიქიშვილთან. ჩვენი საუბრისას კი კენჭისყრის შედეგები ჯერ არ ვიცოდით. ელენა პირველ თბილისურ ვარჯიშამდე თხუთმეტიოდე წუთით დავიმარტოხელეთ*

# ელენა ვესნინა: თბილისი ჩემი ქალაქია



**— ქართუ ბანკის ტურნირზე ჩემპიონის რანგში ჩაერთვები. ეს შენთვის ზედმეტი ფსიქოლოგიური ტვირთი ხომ არ იქნება?**

— ჯერ ვერ ვგრძნობ დაძაბულობას, მაგრამ ალბათ ეს ფაქტორი მართლაც გამირთულებს საქმეს. თან ვიცი, რომ თბილისის ტურნირი აქამდე ორჯერ არავის მოუგია. ასეა თუ ისე, მაინც ჩემპიონობას ვეცდები. თუკი ერთხელ მოვახერხე, ვითომ ახლა რატომ უნდა იყოს შეუძლებელი.

**— თან შარშანდელთან შედარებით რეიტინგიც უკეთესი გაქვს. რამდენით წაიწიე წინ ამ ერთ წელიწადში?**

— თუ არ ვცდები, შარშან 490-ე ვიყავი, ახლა კი 264-ე გახლავართ. თუკი მაშინ შეჯიბრი საკვალიფიკაციო ეტაპით დავიწყე, ამჯერად ძირითად ბადეში ვზივარ, თან განთესილიც ვარ.

**— „ბორჯომის თასზე" რატომ არ გამოხვედი, რეიტინგის გამო საჭიროდ აღარ ჩათვალე?**

— არა, რას ამბობთ, ამ დონეზე ჯერ მაინც არ ვარ, ათიათასიან ტურნირზე უარი რომ მეთქვა. უბრალოდ, ახალი ტურნირის შესახებ ცოტა გვიან შევიტყვე და ჩამოსვლა ველარ მოვასწარი. ბორჯომის თასზე რომ მეთამაშა, პირველ რიგში ჩემთვის იქნებოდა კარგი. 25-ათასიანი ტურნირისთვის უკეთ გავიხსნებოდი.

**— წლევანდელ ტურნირს ბევრი ნაცნობი რუსული სახე აკლია, რატომ შეიკავეს თავი?**

— ალბათ ჩამოსვლის შეეშინდათ, არადა ვინც ჩამოვედით, კარგად ვხედავთ, რომ საშიში არაფერია.

**— თუ საიდუმლო არაა, ვის მიიჩნევ უმთავრეს კონკურენტებად?**

— პირველ რიგში პირველ-მეორე ნომრებს, უკრაინელ ლაზარჩუკსა და ბელარუს იაკიმოვას გამოვარჩევ, თუმც ეს ისეთი ტურნირია, სიურპრიზების შეთავაზება თითქმის ყველას რომ შეუძლია. იქნებ ისეთმა ვინმემ იმარჯვოს, აქამდე რომ თავი არსად გამოუჩენია. ჩემთვის ხომ ქართუ ბანკის ტურნირი პირველი 25-ათასიანი გამარჯვება იყო.

**— თბილისის ტურნირზე თავის დროზე მისკინასა და დემენტიევასაც უთამაშიათ, შენი აზრით ახლა თუ შეიძლება მომავალი ვარსკვლავი გამოჩნდეს?**

— რატომაც არა. იმდენი ნიჭიერი გოგო თამაშობს და ვარჯიშობს... კონკრეტულად კი მართლა ვერ გეტყვით, ვინ შეძლებს მათგან ყველაზე მეტს. ბევრს საერთოდ არ ვიცნობ. იქნებ ეს ვარსკვლავი თქვენებურიც გახდეს. როგორც მითხრეს, რამდენიმე კარგი ქართველი გოგო გამოჩენილა.

**— ისევ მისკინა-დემენტიევაზე გკითხავ. რომელი უფრო კარგი ჩოგბურთელია?**

— ჩემი აზრით დღეს მისკინა რუსეთში უდავოდ საუკეთესოა. დემენტიევას მეორე ნომრად დავაყენებდი, მესამეზე კი შარაპოვას.

**— კი მაგრამ, კუზნეცოვა?**

— სვეტლანაც ბრწყინვალე ჩოგბურთელია. ალბათ სამეულში მალე მასაც შევიყვან.

**— უკვე ხომ მოუგო დემენტიევას?**

— რომ მოიგებდა ვიცოდი, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს, რომ დემენტიევაზე ძლიერია. დემენტიევას ყველაზე დიდი ნაკლი თავისიანებთან თამაშია. სულ სხვა ჩოგბურთელად იქცევა ხოლმე. არ მესმის რა აშინებს.

**— შენი კერპი ვინაა?**

— მიბაძვით არავის ვბაძავ, ისე კი ყველაზე მეტად მარტინა ჰინგისის თამაში მიყვარდა. ის დღესაც საუკეთესოდ მიმაჩნია, მისკინასთან ერთად.

**— ბოლოს ისევ საქართველოში დავბრუნდეთ, ბათუმშიც აპირებ ჩასვლას?**

— აუცილებლად. შარშან ამის საშუალება რეიტინგმა არ მომცა. წელს კი ყველაფერი სხვაგვარადაა. თუმც ბათუმამდე თბილისში მაქვს სათამაშო, ჩემთვის ყველაზე იღბლიან ქალაქში.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბედნიერება ტრუსშია

ვინ არ იცნობს მაიკლ ფელპსს? ბალტიმორელ ფართოფარფლება ზვიგენს ათენიდან ექვსი ოლიმპიური ოქრო და ორიც ბრინჯაო წაუღია და ახლა დიდსა და პატარას სამახსოვრო ფოტოთი ახარებს. ამ გოგოს, მაგალითად საცვალზე ხელიც მოუწერა. თავადაც ხედავთ, გოგონა ბედნიერია.






# ტყუილად ღუზაზე დგომას ცუდად ცურვა ჯობია

შვეიცარიულ იახტა „ალინგის" შარშან მოუგია უძველესი და უპრესტიჟულესი ამერიკის თასი და ამ თასისთვის დავაში სხვა თავზეხელაღებული ეკიპაჟის გამოწვევას ელის. მაგრამ სანამ პრეტენდენტი გამოჩნდება, ღუზას ხომ არ ჩაუშვებს? ჰოდა, ახლა „ალინგი" „ლუის ვუტონის" თასისთვის ბერავს აფრებს.

# დირექტორი-ლეგენდა



გლუვი ყინულის და ყვანჯის მეფეთმეფე უეინ გრეცკი, რა თქმა უნდა, ჰოკეიში საქმიანობს, მსოფლიოს თასზე კანადის ნაკრების აღმ-დირექტორია. ტორონტოშია უმცროს ვაჟიშვილ ტრისტანთან ერთად და ნეკერჩხლოვანთა ვარჯიშს გასცქერის. კანადელები 14 სექტემბერს თასის ფინალში ფინელებს ხვდებიან.

# სკუპ-სკუპა ბებია

სივრძეზე ხტომის დედოფალ ჰაიკე დრექსლერს მგონი უკვე შვილთაშვილები ელოდებიან სახლში, მაგრამ შვილიშვილების ტოლა გოგონებზეც უფრო მარჯვე გერმანელს ჯერ აზრადაც არ მოსდის სარბენი ბილიკიდან გადასვლა. და თუ ახლა გადასულსა და წამოკოტრიალებულს ხედავთ, ნუ მოტყუვდებით, მხოლოდ ისვენებს, აი ახლა წამოდგება და ექვს მეტრზე ისკუპებს.






# ახტა, მაგრამ როგორ დახტა?

ახტომა იოლია, იქნებ ჩვენც კი გამოგვივიდეს. ამ საქმეში მთავარია, ისე დახტე, რომ მერე ისევ შეძლო ახტომა. ეს გოგონა ამერიკელი ტანმოვარჯიშე კერლი ჯინგა გახლავთ, ლა სერენაშია, ჩილეში, მსოფლიოს თასის ერთ-ერთ ეტაპზე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge